

კახეთი. Region



2025, 6, №44

გონიოსა და აფხაზეთის განმანათლებლები

განდეგილის სინამდვილედ ქცეული სამყარო

გზავნილები წიგნის პლანეტებიდან

ცნობილი ვოიაჯერი და მარადიული ჩაქრულო

ქარიზმატული მოცეკვავე იუბილარია

პირველი ციფრული ფული - სფერო ქოინი

პრესტიჟული ჟურნალი *Business Women Magazine*

ქართულ ბრენდს *Tinano* საერთაშორისო
ბაზარზე ვიხილავთ

ფასი - ორი ლარი

სამუსიკო სკოლის საიუბილეო საღამო



სარჩევი

საქართველოს პირველი მისიონერები	4
ყოველი საქართველო – სამხრეთის საზღვრები	6
ლევან გოთუა და მთამსვლელი ჯაფარიძეები	8
ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები	11
ნიჟარების ფონოგრამები	14
ნინელი ხორბალაძე – ჩემს საყვარელ მეგობრებს	15
საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი	17
არტერიული ჰიპერტენზია	18
პირველი ციფრული ფული – სფერო ქოინი	20
ნათია შათირიშვილი – წარმატება უწყვეტი მოგზაურობა	23
ნაღდმა გურულებმა სტარტი აიღო	26
ცნობილი ვოიაჯერი და მარადიული ჩაკრულო	28
ჩოხატაურის სამუსიკო სკოლა 65	30
შერონ სტოუნი – ჰოლივუდის ინტელექტუალური მსახიობი	31
წარმატებული სპექტაკლები	32
დიზაინერი თინათინ კალანდაძე	33
ანეკდოტები	34

ქრნალი თაჰისუფალი ჰრასის ჰრინციჰით ხალმძჰანალოხს.
რადაჰციიჰი ჰამოსალი მასალაჰის სიჰუსტაჰა ჰასუხს აჰაბს აჰბორი,
ხოლო სარაჰლამო ტაჰსტაჰა ჰასუხისმგაბლობა რაჰლამის ჰამაჰათს აჰისრაჰა.

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები,
გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები.

e-mail: lelasurmava1@gmail.com

სარეკლამო შეთავაზება

გურიაRegion შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ყოველთვიური ჟურნალია. პუბლიკაციები ტურიზმის, დაცული ტერიტორიების შესახებ, სამედიცინო თემებზე, ქართველი მენარმეების საქმიანობასა და წარმატებებზე ქვეყნდება. ჰყავს ბევრი მკითხველი. გურიაRegion საქართველოს უმეტეს არეალში ვრცელდება, მაგალითად, ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი შავ-თეთრი რეკლამის განთავსების ღირებულება 300 ლარია.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი ფერადი რეკლამის განთავსების ღირებულება 600 ლარია.

გრძელვადიანი თანამშრომლობისას ფასდაკლება მოქმედებს.

საკონტაქტო პირი: ჟურნალის რედაქტორი ლელა სურმავა.

მოგილური ტელეფონი: 558 256 550

საქართველოს პირველი მისიონერები



წმინდა ანდრია პირველწოდებული

მიდით და აღიდეთ სახელი ჩემი უკუნისამდე – წმინდა ანდრია პირველწოდებულმა მაცხოვრის სიტყვები შავ ზღვამდე მოიტანა. კოლხეთისა და აიას (ქალაქ ბათუმის ტერიტორია) მიდამოებში ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული მხოლოდ საქადაგებლად არ მოსულა, – სულიერმა არქიტექტორმა ელინურ სამყაროსა და უძველეს საქართველოს შორის ხიდი გადო. წმინდა გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს, – წმინდა ანდრიამ გონიოსა და აფხაზეთის გზით მრავალი ადამიანი მონათლა. მეფეთა ქალაქ მცხეთაში ხის ჯვარი აღმართა.

წმინდა ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა. ამიტომ ეწოდა მას პირველწოდებული. წმინდა ანდრია წარმოშობით ბეთსაიდის იყო, ძმასთან ერთად კაპერნაუმში ცხოვრობდა. ძმები მეზადურები იყვნენ, მათ მამას იონა ერქვა. იოანე ნათლისმცემლის მოწაფე, წმინდა ანდრია პირველი დაემონაჟა ქრისტეს.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ რაჭამს წილ იგდეს მოციქულთა საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მას ძე ღვთისა გამოეცხადა, – ჰოი, დედაო, ჩემო,

არა უგულებელყო ერი იგი უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. აუწყა, საქართველოში ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატი. ყოვლადწმინდა ქალწულმა წმინდანს ღვთის ნება გაანდო, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა. ფიცარზე ღვთისმშობელი ყრმა იესოთი გამოსახა. ანდრიას გადასცა და აკურთხა. ანდრიამ მადლობა გადაუხადა და გაემგზავრა.



წმინდა გიორგი მთაწმინდელი

ანდრია პირველწოდებული ითვლება პონტოელთა, სკვითთა, იბერთა, სავრომატთა და სხვათა განმანათლებლად.

ქართული ისტორიისა და საეკლესიო ტრადიციით, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნეში მოციქულების ხანაში დაიწყო, – ანდრია, სიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი – პირველი მისიონერები იყვნენ.

წმინდა ანდრია პირველწოდებული მოგზაურობის დროს სასწაულებს აღასრულებდა, ქრისტიანობის გასავრცელებლად საქართველოში სამჯერ იმყოფებოდა. პირველად სირიის ქალაქ ლაოდიკიაში, შემდეგ კაპადოკიაში ქალაქ ტვანაში, შემდეგ კი, გალათის ქალაქ ანკვირიაში, პონტოს სინოპეში, ამასინელთა ქალაქში. მოიარა ტრაპეზუნდი სამეგრელოსი, იქედან ქართლში წავიდა. ბოლოს პანთიაში. აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად, სხვა მოციქულებთან და ღვთისმშობელთან ერთად იერუსალიმში მივიდა. მეორე მოგზაურობა ანდრია პირველწოდებულს სირიის (ასურეთის) ანტიოქიიდან დაიწყო. ეფესოდან ფრიგიის ქალაქ ლავდიკისკენ გაემზავრა. მდინარე პართენით ქალაქ ხარაკში ჩავიდა, მეორედ წავიდა სინოპეში, მოიარა ზღვისპირა პონტო.

წმინდანს მესამე მოგზაურობის დროს თან ახლდნენ სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი. მეფე ავგაროზთან ედესაში ერთად იყვნენ, შემდეგ ჭოროხის ხეობით ქართლში. ბართლომე და თადეოზი სხვა მიმართულებით წავიდნენ საქადაგებლად, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სოსანგეთში (ანყური), ოსეთში ქალაქ ფოსტაფორში შეჩერდა, მოიარა აფხაზეთი, ქალაქი სევასტია. შემდეგ ზღვით სინოპეში ჩავიდა, ბიზანტიაში სოფელ ბოსფორთან ახლოს იქადაგა, სადაც ქალაქი კონსტანტინოპოლი გაშენდა.



წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტერფის ნაწილი




ამ მოგზაურობის შესახებ ქართლის ცხოვრება გვაუწყებს, როცა მოციქული სვანეთში მივიდა; მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგებად მოციქულთა, და მატათა სხუათა მათ თანა მონაფეთა დაშთა მათ კერძოთა, ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოსეთისასა, მიიწია ქალაქად რომელსა ეწოდება ფოსტაფორი. მრავალი ერნი მოაქცივნეს და განანათლეს, მიერ შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსაც ეწოდება ცხუმი. მუნ დაუტევა სვიმონ კანანელი და თავად ჯიქეთისა ქუეყანასა ავიდა. სვიმონ კანანელის საფლავი არს ნიკოპს ქალაქად, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა. მუნ აღესრულა სვიმონ კანანელი. წმინდა ანდრიამ მოაქცია მეგრელნი და აფხაზნი და სკვითედ წავიდა. მოციქული მატათა ბათუმთან ახლოს გონიოში გარდაიცვალა.

წმინდა ანდრია პირველწოდებული აჭარის გავლით ქართლისკენ გაემგზავრა. დიდაჭარაშიც იყო, სოფელში დღემდე შემონახულია ტაძრის ნანგრევები, გადმოცემის თანახმად, ეკლესია თავად ანდრია პირველწოდებულმა ააშენა. ამ მოგზაურობის დროც იყო კლარჯეთში და სამცხეში, რომლის საზღვარზე მთაზე რკინის ჯვარი აღმართა, დღემდე არსებული ტოპონიმს მისცა დასაბამი. ჯიქეთში

ანდრიას მოკვლა მოისურვეს, უფალმა დაიფარა, წმინდანმა ჯიქეთი დატოვა.

მდინარე ფაზისის ხეობის გაქრისტიანების შემდეგ, ანდრია პირველწოდებული მოციქულებთან ერთად თუ მდინარის ხეობას აუყვებოდა, იბერიაში, შემდეგ სვანეთში მივიდოდა.



რაჭიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მის მომიჯნავე ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი რამდენიმე გზა გადიოდა. ამ მაგისტრალის ერთი მონაკვეთი ონიდან ჯეჯორის ხეობის გავლით ქართლში

მიდიოდა: ქიორა, გლოლა, მამისონის უღელტეხილით – დვალეთში, დვალეთიდან როკის უღელტეხილით – თრუსოში, თერგის სათავეში, აქედან არაგვის ხეობაში, შემდეგ ქართლის ვაკისკენ ან კახეთისკენ წავიდოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოდან – დვალეთიდან – აფხაზეთისკენ მიმავალ გზას გზა გარესა და გზა დვალეთისასა ეწოდა. შესაძლოა, ანდრია პირველწოდებული ამ გადასასვლელით სვანეთში, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა (ნიქოზელი მღვდელმთავრი თავის სამწყსოსთან – ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანებთან ერთად, სწორედ ამ გზით სარგებლობა). სავარაუდოდ, მოციქულმა ეს გზა გაიარეს, მით უფრო რომ I საუკუნეში იბერიასა და ალანის კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. რაჭისა და სვანეთის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს ფუსტა ერქვა, იქ მცხოვრებლებს – ფუსტელები.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის და მოციქულების მიერ აღმოსავლეთ საქართველოდან აფხაზეთისკენ მიმავალი გზა XXI საუკუნეშიც აქტუალურს არ კარგავს. წმინდა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე წარმოთქმული სიტყვებით, საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობას იცავდა: წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარზე ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი ვართ და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი სვიმონ კანანელი ქვეყანას ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთსა, ნიკოფსი ეწოდების, ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ.

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში (სკვითიში, კავკასიაში) მოციქულებრივი მოგზაურობასა და ქადაგებებზე ცნობები გვხვდება ორეგენესთან (185-254), ევბერისტან (გ.449), დოროთეოს ტვირელთან (VI ს.), ისიდორე ისპალიელთან (გ.639), ევსევი კესარიელთან (230-340), ეპიფანე კონსტანტინოპოლელთან (გ.780), თეოდორე კვირელთან (393-457/8), ნიკიტა პალფაგონელთან (IX) და სხვ.

ყოველი საქართველო

სამხრეთის საზღვრები

სამხრეთით საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს მაჰმადიანი მეზობლებისგან ჯერ მტკვარი, შემდეგ დებედას ხეობა გამოჰყოფდა. აჯისუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე, მას ქვემოთი მტკვარს გაღმართი ვიდრე შაქისის საზღვრამდე... კახეთის სამეფოს სამხრეთი მიჯნა ყოფილა. აჯი-სუ (მწარე წყალი) პატარა წყალია, რომელიც აღსტაფის ქვემოთ ერთვის მტკვარს. აქედან საზღვარი მტკვარს დაუყვებოდა, დაახლოებით იმ ადგილამდე, სადაც მას ალაზანი უერთდებოდა. ეს სექტორი შედარებით სტაბილურობით გამოირჩეოდა.

ცვალებადი იყო ვითარება დებედას ხეობაში. XVIII ს-ის დასაწყისში მას ხელი შეუწავს I-მა დასდო, რათა ჰქონოდა შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა. 1604 წელს შაჰმა ქართლის მეფეს ლორე ჩამოართვა. სახანოდ გარდაქმნა და ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ფეოდალს ჩააბარა. დებედას ბოლო წელზე ბორჩალოს მომთაბარე თურქმანული ტომი ჩამოასახლა და აღჯაყალის ირანელ ციხის-თავს დაუმორჩილა. საზღვრების მორღვევამ ქართლის სამეფოს თავდაცვისუნარიანობასა და დამოუკიდებლობას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა.

სახანოების ტერიტორიაში შედიოდა მდინარე ბაზაკის წყლის ხეობა, მდინარე ძორაგეტის ქვემო წელი და დებედას მარჯვენა სანაპირო. დაახლოებით სანაინიდან შესართავამდე. როსტომ ქართლის მეფის (1633-1658 წწ.) ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ტაშირზე (მდინარე ძორაგეტის ხეობა ლორეს ციხემდე) ლორეს ხანს ხელი არ მიუწვდებოდა. დასტურლამალი და სხვა ისტორიული ძეგლები ერთმნიშვნელოვნად მოწმობს,

რომ ტაშირი ქართლის მეფის სამოურავო ქვეყანას წარმოადგენდა.

ახპატის მონასტერიც მდინარე დებედას მარჯვენა სანაპიროზე ლორეს ხანის იურისდიქციის მიღმა რჩებოდა. ლორეს მეტოქონეს ახპატთან საქმე არა აქუს – ნათქვამია ერთ საბუთში. ითვლებოდა, რომ ახპატის ეპისკოპოსი არს მეფისა, და მამულიცა იმისი – მეფისა. ეს მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცხოვრების ცენტრი ქართლის მეფეთა მფარველობით სარგებლობდა. მისი მღვდელმთავრის დასმის უფლება მხოლოდ ქართველ მეფეებს ჰქონდათ. საეკლესიო სამართლის ეს წესი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს და დავით ბაგრატიონს (1767-1819 წწ.) აღუნიშნავთ, საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები ლორე-ბორჩალოს სახანოებსა და ქართლის სხვა თემებს შორის იმდენად მჭიდრო იყო, რომ სპარსეთის შაჰის სულთან ჰუსეინის (1694-1722 წწ.) ფირმანებში ლორეს მხარე ქართლის საქართველოს საზღვრებში მოიაზრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ატლასში საინტერესო მონაცემებია დაცული, ლორე-ტაშირის ეთნიკური შემადგენლობისა და იქ მიმდინარე აკულტურაციის პროცესის გარკვევისა, რუკებზე დადასტურებული წმინდა ქართული წარმომავლობის ტოპონიმებიდან – ნყაროსოფელი, ნასოფლარი, ჭალისსოფელი მწყნეთი და სხვა. ერთად ყურადღებას იპყრობს ისეთი სახელწოდებები, რომელთა ძირი თათრულია ან სომხური, ხოლო სუფიქსად ქართული სოფელი აქვთ დართული: დერზიოლისსო-



ერეკლე II



ფელი, სააკასოფელი, სულეიმანისოფელი, აკოფასოფელი და ასე შემდეგ. ამ ტიპის ტოპონიმები აშკარად მიუთითებს არაქართული ელემენტის ქართულ ეთნოკულტურულსა და სამართლებრივ სივრცეში შემოყვანის მცდელობაზე.

1723 წელს ამიერკავკასიაში შემოჭრილმა თურქებმა ლორესა და ბორჩალოს სახანოები ბაქარ ვახტანგის ძეს დაუმტკიცეს. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიასა და რუკებზე, ასევე დელილის რუკაზე, მთელი დებედას ხეობა ქართლის სამეფოს ფარგლებშია ნაჩვენები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლორე-ტაშირი ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა. ლეკთაგან აოხრებულ ამ მხარეში ადგილობრივების უმრავლესობას მომთაბარე ელები და სომხები შეადგენდნენ, მაგრამ ქვეყანა ქართული იყო, მასზე ვრცელდებოდა მეფის ხელისუფლება, ადმინისტრაცია და სამართალი. ადგი-



ლო დარჩომილა (ანუ ადგილობრივების 2,5% რჩებოდა – ავტ.). დაცარიელებულ ადგილებში ყარაბაღიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ. სომხების შემოხიზვნა XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. დემოგრაფიული ვითარების ცვლილებამ შედეგი XX საუკუნის დასაწყისში გამოიღო.

ადგილობრივები იხდიდნენ სახელმწიფო და სხვა გადასახადებს. გამოდიოდა სამეფო ლაშქარში. აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ფენის გაქართველება. ქართულ კულტურასთან თანაზიარება, ლორეს მელიქებისათვის სამოქალაქო ურთიერთობის ენა ქართული იყო. ქართულ ენაზე წარმართავდნენ გარიგებებს სომხური წრიდან გამოსული ლორელი ვაჭრები. ქართული ენის ცოდნით თავს იწონებდნენ სომხები ვარდაპეტები. ერეკლე II-ის თანამედროვე სომეხი მოღვაწეებიც (სომეხთა კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი, არტემ არარატელი) ბამბაკსა და ლორე-ტაშირს ქართულ ქვეყნებად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ თანადროული პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებშია, საქართველოს ქვეყნებია, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც.

ოსმალთა და ლეკიანთა ქვემო ქართლის პროვინციები, მათ შორის ლორე-ტაშირი ძლიერ გააპართახა. ადგილობრივები საქართველოს სხვა მხარეში ან მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნა. 1770 წლის დემოგრაფიული დავთარი ამ მხრივ მეტად მეტყველია: არს ბორ-

ჩალო და ფამბაკის ხეობა, ერთი მთელი სახანო, ამისი კაცი მრავალი დაფანტულა სხვა თემში. ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი, სომხით, არს ყაზახი, ერთი მთელი სახანო, მრავალი ამისი კაცი სხვის ქვეყანაში არის დაფანტული. არის შამსადილუ, ერთი მთელი სახანო, ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი, სომეხიც არის ათას ორასი, არს აოხრებულ ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა... არს აორებულ ტაშირი, არს აოხრებული სრულიად სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი, და ამისი აყრილი კაცი ორმოცისგან ერთი



თუ დარჩომილა (ანუ ადგილობრივების 2,5% რჩებოდა – ავტ.). დაცარიელებულ ადგილებში ყარაბაღიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ. სომხების შემოხიზვნა XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. დემოგრაფიული ვითარების ცვლილებამ შედეგი XX საუკუნის დასაწყისში გამოიღო.

დოკუმენტში ქართლ-კახეთის პროვინციებს შორის ყაზახ-შამშადილოცაა დასახლებული. ეს ძველი გარდაბანია, იგივე ხუნანის საერისთავო, დებედა-ძეგამს შორის ტერიტორია, რომელიც თურქმან მომთაბარეთა მოძალების გამო, საქართველომ XIV–XV სს. მიჯნაზე დაკარგა.

1722 წელს სპარსეთის შაჰმა ორივე პროვინცია საგამგეოდ კონსტანტინე II კახთა მეფეს (1722-1732 წწ.) გადასცა. 1723 წელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოჭრილმა ოსმალებმა ყაზახ-შამშადილო ვახტანგ VI-ის ძმას, იესე ბაგრატიონს, უწყალობეს. ეს მიწები თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ შემოიმტკიცეს. ცნობილია, რომ განჯის ხანმა ერეკლეს შამშადილოს ქვეყანა ათას ხუთასი თუმნის გირაოდ მიართვა 1750 წელს. გარიგების მიუხედავად, განჯის ხანები ხელს არ იღებდნენ ყაზახ-შამშადილოზე. ერთ დოკუმენტში ერეკლე II შამშადილოს ელებზე აღნიშნავს, რომ ესენი ზოჯგერ განჯისთვისა დაგვინებებია, რადგან იმაზე ახლოს არის, მაგრამ იმისი ყმა არ ყოფილა.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



...შუკსა და სილზე ამაღლებული...

ლევან გოთუა და მთავისკლავი ჯაფარიძე

მრავალრიცხოვანი მარწუხებით ხელ-ფეხშებორკილ მწერალში, მაინც ვერ შესძლეს შემოქმედებითი გზების გა-ნელება, ნიჭიერების მოგიზგიზე ცე-ცხლის ჩახშობა. ყოველ ფაქტს, კეთილ საქმეს თუ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც საქართველოდან მის ყურამდე აღწევდა, ბატონი ლევანი მწერლისა-თვის დამახასიათებელი განცდით აღი-ქვამდა და საკუთარ შემოქმედებით ქურაში ანრობდა...

ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგი-ვრად მიულოცე განდევნილის ქვაბულის აღმოჩენა, მეტად მაინტერესებს და ამ აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს. რა შესანიშნავი თემაა, გარ-და სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდევნილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი – ალბათ თავისი ძლიერების ხელმეორედ დასადას-ტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავნერო, ჯერ კი ხელე-ბი შეკრული მაქვს...

ალექსანდრა ჯაფარიძე ბეთლემის გამოქვაბულში 1948 წლის იანვარში შევიდა. ამ ამბის შემდეგ, ლევან გოთუამ კიდევ შვიდი წელი გაატარა გადასახლებაში, მაგრამ ილიასეული ბეთლემის ქვაბულის აღმოჩენამ მის ფანტაზიას ახალი გასაქანი მისცა. იგი ოცნებობდა განდევნილის სინამდვილედ ქცეული სამყაროს ხილვას. ეს ოცნება კი გადასახლებიდან საბოლოოდ დაბრუნების შემდეგ აისრულა.

1957 წელს დიდი ილიას დაბადების 120 და ვერაგული მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ბატონმა ლევანმა შეკრიბა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ჯგუფი, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი ალექსანდრა ჯაფარიძე და ილიას გზით მყინვარწვე-რისკენ გაემართა.

ამ ლაშქრობას მშვენიერი ნარკვევი უძღვნა, უდროოდ გარდაცვლილმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა. მან გულწრფელად და უშუალოდ აღწერა ლაშქრობის მონაწილეთა გზა მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე...

17 სექტემბერი... ყველა გავუშინაურდით ჩვენი ლაშ-ქრობის ხელმძღვანელს, მწერალ ლევან გოთუას, გავა-ახალგაზრდავეთ, ავაციოლიეთ მხიარულებაში, დღემდე გავიძახოდით, საეჭვოა, ალექსანდრა ჯაფარიძე წამო-გვყვეს ლაშქრობაში. უკვე იმის თქმა არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ ალექსანდრა არათუ მოგვყვება, ჩვენზე წინ მიჰქრის, მანქანის კაბინაში ზის. რა დიდი




ალიოზა ჯაფარიძე

იმედია ეს მათთვის, ვინც პირველად მიდის მთებში. ჩვენთვის, თუ ალპინია-დაში არის ჯაფარიძე (ოღონდ ეს გვარი ჰქონდეს), ნურც ნაპრალების გემინია, ნურც ზვავისა. პატივცემულ ალექსან-დრას სულ შავები აცვია, ახლახან დაა-საფლავა თორმეტი წლის წინ ყინულე-ბში დაღუპული ძმა, სახელგანთქმული მთამსვლელი ალიოზა ჯაფარიძე. ეს უფრო გადმოსვენებას ჰგავდა მთე-ბიდან ბარში. განახლებულმა გლოვამ თმის უკანასკნელი შავი ღერებიც გაუ-თეთრა ალექსანდრა ჯაფარიძეს...

ალექსანდრა, რომელიც განახლე-ბული გლოვის შემდეგ, ამ ლაშქრობაში მონაწილეობას მუდამ განსაკუთრებუ-ლი სითბოთი იხსენებდა და დასძენ-

და: ლევანმა დამაძალა, შეიძლება ითქვას, მაიძულა, ბეთლემში წავყოლოდი, უარი ვერ ვუთხარი, კიდევ კარგი, რომ გავყევი. ალიოზას დასაფლავების შემდეგ, თბილისში დარჩენილი, უთუოდ გლოვას გადავყევბო-დი. ლევანის დაჟინებულმა თხოვნამ, ნამდვილად გადა-მარჩინა და სიცოცხლის რწმენა დამიბრუნა. ლაშქრო-ბაში, როგორც პატარა ბავშვს, ისე მივლიდა, ნამდვილი ძმობა გამიწვია და რა ბედნიერებაა, რომ ასეთი უანგარო ადამიანები არსებობენ...

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ლევან გო-თუა, გარდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, თავისი



ივანე ჯაფარიძე

ალექსანდრა ჯაფარიძე



ლევან გოთუა

ნაწარმოებების გამოცემის საქმესაც დიდი გულმოდგინებით შეუდგა. შესანიშნავ რომანებთან ერთად, თავის მგზავრულ ჩანაწერებსა და ნარკვევებსაც მოუყარა თავი და მგზავრული კრიალოსანის სახით აკინძული ცალკე წიგნად გამოსცა. ამ წიგნში შესულ ზოგიერთ ნარკვევს თავისი თოკის მენყვილეს – ალიოზა ჯაფარიძეს უძღვნის და მათში მკაფიოდ წარმოაჩენს როგორც ალიოზას პიროვნებას, ასევე იმ სულისკვეთებას და იდეას, რისთვისაც დადიოდნენ ისინი მთაში. ამ კრებულში, საქართველოს ისეთი სიყვარულია ჩაქსოვილი და ჩადუღებული, რომ იგი ყოველდღიური საკითხავი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის.

ბატონი ლევანი თავის ყოველ ახალ წიგნს, გულთბილი წარწერით უსახსოვრებდა ხოლმე ალექსანდრა ჯაფარიძეს, რაც მას გულწრფელად ახარებდა. ეს წარწერები დღემდე ინახავს იმ უსაზღვრო სიკეთესა და სითბოს, რაც ასე მომადლებულად გააჩნდა ბატონ ლევანს, ჭეშმარიტად დიდ პიროვნებას.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონ ლევანთან ერთად გატარებული დაუვინყარი დღეები ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონში, რომელიც ალიოზა ჯაფარიძის სახელთანაა დაკავშირებული.

1970 წლის სექტემბრის ბოლოს შეგვატყობინეს, 25 ოქტომბერს, ალიოზა ჯაფარიძის დაბადების 70 და კაცხის სვეტზე ასვლის 25 წლისთავთან დაკავშირებით, კაცხის სვეტის ძირში დიდი ზეიმი ეწყობოდა. ორგანიზატორებს დიდი სურვილი ჰქონდათ, ზეიმში მონაწილეობა მიეღო კაცხის სვეტზე პირველამსვლელს, მწერალ ლევან გოთუას. ბატონ ლევანთან შუამდგომლობა ჭიათურის დელეგაციამ ალექსანდრა ჯაფარიძეს სთხოვა. ამ დროს ბატონი ლევანი არმაზში იმყოფებოდა, ჩვენც ბევრი არ გვიფიქრია და ჯაფარიძეთა ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელი – ალექსანდრა ჯაფარიძე, ტარიელ საყვარელიძე და ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ივანე ჯაფარიძე არმაზში გავემგზავრეთ.

1 ოქტომბრის მზიანი დღე იყო. მცხეთიდან არმაზი-

საკენ რომ გადავუხვიეთ, შემოდგომის ფერებით აელვარებული ბუნების ხილვამ მყისვე მოგვიხსნა ქალაქური ყოფის სიმძიმე და კარგ გუნებაზე დაგვაცენა. არმაზში გოთუების სახლთან გავჩერდით, ბატონი ლევანი ეზოში შემოგვეგება, ჩვენმა მოულოდნელმა სტუმრობამ დიდად გაახარა, აღტაცებული იმეორებდა, – რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთო. ბატონი ლევანის სამუშაო ოთახში, სანერ მაგიდაზე საბეჭდი მანქანა იდგა, რომელშიც ფურცელი იყო გაჩრილი, ეტყობოდა მუშაობა, მაგიდისაკენ თვალი რომ გაგვექცა – ბევრი საქმე მაქვს და როგორმე უნდა მოვასწორო, – აღარ დაგვიკონკრეტა, ზოგადად აგვიხსნა ვითარება.

ვიდრე ჩვენი სტუმრობის მიზეზს შეიტყობდა, ბატონმა ლევანმა ერთიანად მოგვატარა მამული. გატაცებით გვესაუბრა თავის სურვილებსა და ჩანაფიქრზე. სახლის მოპირდაპირე კონცხზე გვაჩვენა, როგორი დარბაზი უნდა გამოექცა. ასკიბურათი მტკვრის პირას ჩაგვიყვანა, გზად საკუთარი ხელით გამოყვანილი ულამაზესი წყაროდან წყალიც შეგვასვა, – გეგმები ბევრი მაქვს, დრო აღარ მყოფნის, დიდი დრო დამაკარგვინეს ამ შეჩვენებულებმანო. ღიმილით ჩაილაპარაკა და ბოლო ფრაზას ირონია გააყოლა.

ალექსანდრამ ჭიათურის საზოგადოების სურვილი



ალექსანდრა ჯაფარიძე


რომ გადასცა, თავის მხრივაც და-
აბარა თხოვნა, ბატონმა ლევანმა
მას ხელი მოხვია და შეაჩერა –
ამას რაღა თქმა უნდა, აქ რა გამა-
ჩერებს, როცა კაცხში ჩემი ალიო-
შა მეპატიჟებაო. ბატონი ლევანის
დასტური მოცემული იყო.

24 ოქტომბერს, უამრავი ხალხი
დიდი პატივით შემოგვეგება, მას-
პინძლობის პროგრამა ზედმინე-
ვით დამუშავებული და შედგენილი
იყო. განსაკუთრებული ყურადღე-
ბის ქვეშ იყო ბატონი ლევანი,
ხალხი ჯგუფურად დაყვებოდა
უკან და საყვარელი მწერლისთ-
ვის ხელის ჩამორთმევას ცდილობდნენ. ამით ბატონი
ლევანისადმი უსაზღვრო მონინებას და პატივისცემას
ამჟღავნებდნენ. ბატონი ლევანი ყველას ჩვეული ღიმი-
ლითა და სიყვარულით ხვდებოდა.

მეორე დღეს ყველანი კაცხის სვეტის ძირში შევი-
კრიბეთ, ზემო იმერეთის ეს ულამაზესი და ისტორიული
სოფელი მართლაც საზეიმოდ იყო მორთული. სვეტის
სილუეტი შორიდანვე გამოჩნდა. ასეთი შთაბეჭდილე-
ბა იქმნებოდა, თითქოს კაცხის სვეტის თავზე ცეცხლი
გიზგიზებდა. ადგილობრივ მთამსვლელებს ალიოშა ჯა-
ფარიძის უზარმაზარი სურათი სვეტის თავზე აეტანათ
და იგი დროშების ზღვაში ჩაეძირათ. ადგილობრივები
და მოსწავლე-ახალგაზრდობა გარეთ იყო გამოსული,
სვეტის ძირამდე მისასვლელ ბილიკზე, ბავშვებს ცო-
ცხალი დერეფანი მოეწყოთ და საპატიო სტუმრებს იქ
ატარებდნენ. ლევან გოთუას გამოჩენას, სვეტის ძირში
თავმოყრილი ხალხი მეუხარე ტაშით შეხვდა. თავის
სიტყვაში, ბატონმა ლევანმა დიდი სითბოთი გაიხსენა
გარდაცვლილი მეგობრები, პირველი მესვეტეები,
ალიოშა ჯაფარიძე და აკაკი ბელიაშვილი. ისაუბრა
სვეტზე ასვლისა და იქ ღამისთვის შესახებ, იმ მნიშ-
ნელობაზე, რაც სვეტის პირველ კვლევას ენიჭებოდა.
ზეიმის დამთავრების შემდეგ, ბატონმა ლევანმა სოფელ
ხრეთში მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახლ-კარის მონა-
ხულება ისურვა, სვეტზე პირველი ასვლის შემდეგაც
ხომ ჯაფარიძეების ოჯახს ესტუმრნენ მესვეტეები, მა-
შინ სტუმრებს ალიოშა მასპინძლობდა, ამჟამად კი ეს
მისია ალიოშას დაძმას – ალექსანდრას და ნოეს ეკის-
რებოდათ.

უნიკალურ ეზოში, ასწლოვანი მუხებისა და ცაცხ-
ვების ქვეშ გაშლილ უზარმაზარ სუფრაზე, ბატონმა
ლევანმა მცირე გულითადობისა და გულწრფელობის
ატმოსფერო შექმნა და სუფრასაც თავისებური მი-
მართულება მისცა. სადღეგრძელო როცა შეისვა, სუ-
ფრაზე სიყვარულის ზვაგი დაიდრა, მრავალთაგან ხო-
ტბამესხმული, წრფელ სიყვარულს უცხადებდა. აქ
შეკრებილი ადამიანები კი ბედნიერად თვლიდნენ თავს,

ივანე ჯაფარიძე




რადგან საშუალება მიეცათ, მრავალჭირგამოვლილი, სამშობლოს
მონატრებული საყვარელი მწერ-
ლისთვის თავიანთი გულისთქმა
ხმამალლა გაემხილათ. ხალხის
მიერ ალაღად გამჟღავნებულმა
სიყვარულმა, ბატონ ლევანს თვა-
ლები აუწყლიანა, შემდეგ თასი
ასწია და სამადლობელი სიტყვა
თავისი ქვეყნისა და ხალხის სა-
დღეგრძელოთი დაამთავრა. შებინ-
დებულში დედო-ზარით დარეკა
მწერლის სიტყვამ...

ამ დაუფიქრარი დღიდან დიდი
დრო არ გასულა, რომ ლევან გო-

თუა გარდაიცვალა. იგი ჩუმად და უხმაუროდ, ვალმო-
ხდილი გაერიდა ამ წუთისოფელს და არმაზის წმინდა
სანახებში ჰპოვა სამუდამო სასუფეველი.

წავიდა ამ ქვეყნიდან ღირსეული პიროვნება, ჭეშმა-
რიტი მამულიშვილი, თავისი ქვეყნის სიყვარულით აბჯა-
რასხმული რაინდი, ჩვენ კი დაგვიტოვა სევდა და მარა-
დიული ხსოვნა, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ;
დაღუპულები აღარ ბერდებიან, ისევე როგორც აღარ
ქრება მათი მიერი ტკივილი და აღარ ხუცდება ხსოვნა.

ივანე ჯაფარიძე
სიმონ ჯაფარიძე



ალექსანდრა ჯაფარიძე

მართი ჩხენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური ღილეგები


ვაჟკაცი ძალიან მომეწონა, უკეთეს თანამოაზრეს ვერ ვიშოვიდი. ჩვენთან ერთად მუშაობდა ევგენი გაბელაშვილი, ქუთაისელი, მეორე მსოფლიო ომმა არმიის რიგებში მოუსწრო, 1942 წლის ივნისში დაიჭრა, მეორე ჯგუფის ინვალისად სახლში დაბრუნდა. ტყვეულის სტამბაში დაიწყო მუშაობა, ქუთაისში მოქმედ არალეგალურ პატრიოტულ ორგანიზაციას დაუკავშირდა, მიკროსტამბის შექმნაში და პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებაში მონაწილეობდა. 1944 წელს პატრიოტთა ერთი ჯგუფი დააპატიმრეს, მათ შორის ევგენიც. მას სიკვდილით დასჯის განაჩენი, ათი წლით პატიმრობით შეუცვალეს, უკვე ორი წელი რუსთავის კოლონიაში იხდიდა სასჯელს.



მარცხნიდან ლეო თევდორაძე, შალვა მაღლაკელიძე, დავით კვიტაიშვილი, შოთა შავგულიძე. (ვორკუტა)

სხვისი მოსმენა უყვარდა. საკუთარ აზრს იშვიათად გამოთქვამდა. პრაქტიკული ახალგაზრდა ჩანდა, როგორი მძიმე და დამამცირებელი სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო, ბოლომდე მიიყვანდა. თოფდამიზნებულს ამუშავებდნენ და საქმეს არ ღალატობდა. მალე დავუახლოვდი, ერთგვარი ტრიუმფირატი შეიქმნა, ერთ ბრიგადაში ვმუშაობდით, ბარაკის ერთ სექციაში ვიძინებდით, ერთად ვსაუბრობდით, ერთმანეთის გულისნადები ვიცოდით.

ტრიუმფირატს ბენო კარტოზია შეემატა, ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იყო. თავგამოდებული ანტი, ქუთაისიდან ვიცნობდი. 1935 წელს ქუთაისში საკმაოდ გახმაურებული და სენსაციური რამ მოხდა, ბენო კარტოზია იმ დროს გაზეთ ინდუსტრიული ქუთაისის პასუხისმგებელი მდივანი იყო. ანტისაბჭოთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში იყო ეჭვმიტანილი. წარმატებული ახალგაზრდები გაერთიანდნენ; ვალიკო ესაიაშვილი, მიშა ფხაკაძე, ვლადიმერ შავგულიძე, შალვა ჯავახაძე, შალვა კოხოძე, ვახტანგ ხელაძე.



ისინი კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს, სამსახურებიდან გაათავისუფლეს. დაკითხვა და გამოძიება დაიწყო. 1937 წლამდე ებრძოდა ბენო უსამართლობას, ამავე წელს დააპატიმრეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, რუსთავის ბანაკში შევედი, ჩემს მეგობრებს გავაცანი, ქუთაისში ანეკდოტად ქცეული ამბავი შევახსენე, – ბენომ დამაჯერებლად გვიამბო: დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე, ქუთაისის შინსახკომის უფროსთან გამომიძახეს, კაბინეტში შესვლისთანავე მკითხა:

– ამხანაგო ბენო, სარწმუნო წყაროებიდან შევითქვეთ, იარაღი გაქვთ, ადასტურებთ?

– დიახ, მაქვს.

– იცით, ასეთი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან აღიარებთ, სასჯელი შეგიმსუბუქდებათ, მოიტანეთ და ჩაგვაბარეთ.

– მოტანა არ მჭირდება, თან ვატარებ, – პიჯაკის მარცხენა ჯიბეში ჩავიყავი ხელი, უფროსი არ დაიბნა, მიყვირა, – ხელი არ გაანძიო. გაღებული უჯრიდან რევოლვერი ამოვიღე და დამიმიზნა, ხუთი-ათი წამი ასეთ მდგომარეობაში ვიყავი.

– იარაღი მაგიდაზე დადე, – ჯიბიდან წელი მოძრაობით ფანქარი ამოვიღე და მის მაგიდაზე დავაგდე.

– აი ჩემი იარაღი, თქვენ არ გაქვთ უფლება, წამართვათ!..

ბენო კარტოზია ვაჟკაცური შემართების კაცი იყო.

თანამოაზრეები გაერთიანდნენ; პავლე მგალობლიშვილი, შოთა შავგულიძე, ევგენი გაბელაშვილი, ბენო კარტოზია, ყოფილი სამხედრო ტყვეები შალვა ჩაჩავა და პლატონ სიჭინავა.

გარეთ იყვნენ აკაკი მუხაშავრია, გერმანიაში ტყვეობა ერთად გავატარეთ, დღე-დღეზე ელოდა დაპატიმრებას; ჩემს ბიძასთან საზოგადო მოღვაწე და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელ, ყოფილ პოლიტპატიმარ, პროფესორ ივანე ხელაძესთან ერთად. მისი დავალებით ჩემი ბიძაშვილი, ბიჭიკო (ვლადიმერ) ხელაძე პერიოდულად ჩამოდიოდა რუსთავის ლაგერში და ჩემთვის საჭირო ნივთებს მანვდიდა. აჯანყების დაწყებამდე სამი დღით ადრე, მოსაკითხის მოტანის დროს, ორი შარვლით და ორი პერანგით შემოვიდა ლაგერში. შეუმჩნევლად გადმომცა შიდა შარვალი და პერანგი, იქვე პატიმრის ტანსაცმლის ქვეშ ჩავიცვი, თანხაც მომცა.

ცუდ ამინდში, მინის მძიმე სამუშაოებზე პოლიტიკური პატიმრების გამოყენება, საგანგებო მკაცრი რეჟიმის დაწესება, ფიზიკური და მორალური დამცირება, არაადამიანური მოპყრობა,

ვალეკო ხუჭუას ოჯახში – პირველ რიგში მარცხნიდან დავით კვიტაიშვილი, ლევან გოთუა (ვორკუტა)



ყოველივე ეს აჯანყებისკენ გვიბიძგებდა, მით უფრო, როცა პოლიტპატიმართა ნაწილის მშობლები ოცდაათიანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა იმსხვერპლა, როგორც ხალხის მტრის შვილებმა, მშობლებთან ერთად გადაიტანეს გენოციდის ყველა საშინელება; ტანჯვა-წამება, დამცირება, პოლიტიკური დისკრიმინაცია – ახალგაზრდებს პოლიტიკური დიქტატურისადმი შურისძიება არ ასვენებდა!..

მათ ვიცნობდით, გვწამდა, ვენდობოდით. მიტომ შესაძლებელი იყო აჯანყების დაწყება.

მოვითათბირეთ, აჯანყების თავკაცები თავს დავესხმებოდით ვახტას, გამოვიტანდით იარაღს, ტყვეებს დავურიგებდით, ლაგერის ალაყაფის კარებს გავაღებდით, პატიმრებს გავათავისუფლებდით, მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე გზას გავიკვლევდით. ეს ადგილები კარგად ვიცოდით, ახალციხე-ახალქალაქის მიდამოებში ომის დაწყებამდე ჩემი ასეულით ვიდექი.

ჩვენი საქმე ყველამ ვიცოდით, მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ველოდით.

გათენდა. 1948 წლის 17 აპრილი, შაბათი. დილით ადრე პოლიტპატიმრები და სხვა ბრიგადები, დაახლოებით 350 კაცი, ბადრაგით და ძალებით ლაგერიდან გაგვიყვანეს, მავთულხლართებითა და საცეცხლე წერტილებით გამაგრებულ მშენებლობის ობიექტზე გვამუშავებდნენ. ეს ტერიტორია იგივე ლაგერი იყო, თავისი ვახტებით და კოშკებით!..

დილის 9 საათი იყო, ჩვენს მეგობარს, გივი შონიას დედამ მოსაკითხი მოუტანა, ვახტორმა სასტიკი უარი უთხრა, პატიმარს არ გადასცა. ბიჭებმა სთხოვეს, – შორი გზიდან ჩამოვიდა, უკან არ გააბრუნოთ, დღეს ხომ შაბათია, მოსაკითხის მიღების დღე. ვახტორმა არ გაითვალისწინა, უფრო მეტიც ქალბატონს კონდახი ჰკრა და წააქცია, მოსაკითხი მინაზე გაიფანტა. პატიმრები აღშფოთდნენ, ყვიროდნენ, – ჯალათო, ფაშისტო!.. სწორედ ამ დროს შემომწმებლებს იარაღი ვახტაში ჰქონდათ დატოვებული და ლაგერში იყვნენ. ვახტაში მხოლოდ ერთი კაცი იყო დარჩენილი.

გივი გადახტა, აკრძალული ზონა გადალახა და დედასთან მივიდა. ვახტორმა იარაღით ხელში გივისკენ

გაიწია. პავლემ არ დააყოვნა და ჯალათი ნაჯახით სასიკვდილოდ დაჭრა. მე და ევგენიმ ვახტის კარები შევამტვრიეთ, გამოვიტანეთ ორი ნაგანი, ორი თოფი და ორი პისტოლეტი, ერთი რუსული სამხაზიანი შაშხანა და მეორე – გერმანული. ლაგერის კარები შევაღეთ, თანამებრძოლებს იარაღი დავურიგეთ.

გაუთვალისწინებელი ამბავი: ლაგერში ოთხმოცამდე გერმანელი სამხედრო ტყვე მუშაობდა. ისინი თავისუფალ დასახლებაში იყვნენ და მშენებლობის ობიექტზე საშვით შედიოდნენ. ორმა გერმანელმა, რომლებიც შემოსვლის დროს დაპირისპირებაში მოხვდა, იყვირა, – გოთუ, გოთუ (ღმერთო, ღმერთო). ლაგერში მყოფმა გერმანელებმა გაიგეს, იფიქრეს, ჩვენიანს კლავენო და შემომწმებლებს შეატყობინეს.

დამცველ კოშკებზე გუშაგებმა ცეცხლი გახსნეს, განგაში დაიწყო. ბრძოლამ ქალაქის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. ხიდით მდინარეზე გადასვლა გადაწყვეტიტ, მაგრამ მილიციას ჰქონდა გამაგრებული. ამიტომ მტკვრის ნაპირებს ავეყევით, პატარა ბუჩქებს მოვეფარეთ, ფონს ვეძებდით. უთანასწორო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო, ტყვია-წამლის სიმცირის გამო დროგამოშვებით, მიზანში თუ გავისროდით, მონინალმდევე კი ყოველ ბუჩქს და ყოველ ფერდობს ესროდა და წინ მიიწევდა. შედარებით საიმედო ადგილზე მივედით, უნდა გადაგვეცურა მტკვარი. პირველი პავლე გადახტა, შარვლით, ფეხსაცმელებით და პერანგით წყალში გადავეშვი. ნაგანი შარვლის ქამარში ჩავარჩვე, მერე ევგენი მოგვეყვა. მტკვარი მღვრიე და ადიდებული იყო.

შუა მდინარეში შეგვამჩნიეს და სროლა დაიწყეს. წყალში ჩავარდნილი ტყვიების ხმა შემზარავად ისმოდა, ბრძოლაში ადამიანის მოკვლა არ ყოფილა იოლი. ნაპოლეონს მართალი უთქვამს, – ერთი ჯარისკაცი მწყობრიდან რომ გამოიყვანო, მისი წონა ტყვია-წამალი უნდა დახარჯო. ისევ ჩავისუნთქავდი, წყალში გავუჩინარდებოდი და მეორე ნაპირისკენ მივიწევდი. წყლიდან თავი ამოვყავი, პავლემ დამიძახა, – შოთა დამჭრეს. მისი ბოლო სიტყვები იყო, მას შემდეგ პავლე აღარ მინახავს, მტკვრის მღვრიე ტალღებმა შთანთქა. ცურვის დროს ტყვია წელს ქვემოთ მომხვდა, ნაპირზე გასვლამდე, პატარა კუნძული შევამჩნიე, ცურვით შემოვუარე და წყალში დამდგარი დავიმალე. პირამდე წყალი მფარავდა, პირს ზემოთ – ბალახი. ჭრილობიდან ტყვია ხელით გამოვიღე, კანსა და კუნთს შორის იყო გაჩერებული.

უმოქმედოდ და გაუზნებლად ვიდექი წყალში, დაღამებას ველოდი, წამები საუკუნედ იქცა. რაც დრო გადიოდა, სროლის ხმა უფრო ძლიერდებოდა. ჩემსკენ ნავით მომავალი მდევარი შევნიშნე, ნავიდან ძალღიგად მოხტა, ჩემსკენ მოცურავდა, მოულოდნელად წყლიდან ამოვარდი, ძაღლიც ამოხტა და წამაქცია, ნაგანი წყალში გადავისროლე, ნავში ჩამაგდეს და ნაპირზე გამიყვანეს. პერანგი სისხლით იყო შეღებილი, ნაპირ-ნაპირ წყლის დინებას სროლით მიჰყვებოდნენ!..

ხელები შემიკრეს, ფრონტის ხაზიდან გამიყვანეს, ორმოცდაათამდე ოფიცრის წრეში მოვხვდი, შემათვა-

ლიერეს, რაღაც მოითათბირეს, – **ნათორეთ** – ბრძანა ერთმა, არ მივდივარ – შევძახე, მკრეს თოფი და წა-
მაქციეს, **წინ წადი**, – მიბრძანეს. არ მივდივარ, – ისევ
წაქცევა და ისევ წამოყენება. ოფიცერმა პერანგის
საყელოში წამავლო ხელი და ხალხით სავესე ქუჩაზე
გამიყვანა. შეიარაღებული რაზმი ცნობისმოყვარე ადა-
მინების ტალღას არღვევდა. ხელებშეკრული საბარგო
ავტომანქანაზე დამაგდეს, ოღრო-ჩოღრო გზაზე მიჰყა-
ვდათ. ვხედავ, ჯერ ავტომანქანის ძარის ერთი გვერდი
გადაიშალა, მერე მეორე, მესამე, თანდათან ნაპირისკენ
მივცოცავ, უკვე უნდა გადავვარდე, სასწაულებრივად
მანქანის ძარის გატეხილ ადგილს ხელი მაგრად ჩავჭი-
დე, ისეთი ძალა მომეცა, ხელიც რომ მოეჭრათ, ალბათ
თავის ფუნციას მაინც შეასრულებდა. ბადრაგები ხედა-
ვდნენ, გულალმა განოლილი ერთი და იგივე ადგილზე
ვხტოდი, მიხვდნენ და წიხლებს მირტყამდნენ. მანქანა
ლაგერს მიუახლოვდა, ელექტროშუქით განათებული
ვახტის წინ, ევგენი გაბელაშვილის გვერდით დამაგ-
დეს. ირგვლივ შეიარაღებულ ვახტიორთა ჯგუფი გაჩნ-
და. მსუბუქი ავტომანქანების კოლონა მოვიდა, მაღალი
რანგის პარტიული და სამხედრო ჩინოვნიკები იყვნენ.
შინაგან საქმეთა მინისტრი მომიახლოვდა, წიხლი მკრა
და იქვე მდგომ ქვეშევრდომს უსაყვედურა, – **რას მოა-
თრევდით, ადგილზე ვერ ჩააძაღლეთ?..** – ამას ცოცხალს
მაინც არ დავტოვებთ, გაისმა რეჟიმის უფროსის, ახმედ
დიასამიძის სიტყვები.

რუსთავის ციხეში მოგვათავსეს. კარცერში ჩავსვდეს,
რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე. იმ ღამეს აჯანყებაში მო-
ნაწილე და მონაწილეობაში ეჭვმიტანილი სამოცდაათზე
მეტი პოლიტპატიმარი გადმოიყვანეს იზოლატორში და
საკნებში ჩაკეტეს. გაქცეულ პატიმართა ძებნა მთელი
თვე გაგრძელდა, მათ დასაპატიმრებლად უშიშროების
კომიტეტის ჯარის ნაწილი ჩაერთო. ოცდაათამდე პო-
ლიტპატიმრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღი-
ძრა.

ევგენი გაბელაშვილს და მე ბრალი სამი მუხლით
წაგვიყენეს, – იმპერიალიზმის აგენტობა, შეიარაღებუ-
ლი ბანდის ხელმძღვანელობა და კონტრრევოლუციური




თავდასხმის ორგანიზება. თითოეული მუხლი სასჯელის
უმაღლეს ზომას – დახვრეტას ითვალისწინებდა (შემამ-
სუბუქებელ პირობებში ათ წლამდე პატიმრობას, რასაც
ჩვენს მიმართ არ გამოიყენებდნენ).

რუსეთის იმპერიის არსებობის ხანგრძლივი დროის
მანძილზე, სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით
დასჯა, მხოლოდ ორი წლით გაუქმდა, ისიც 1947-1949
წლებში. ეს კი საგონებელში აგდებდა აჯანყების საქ-
მეზე მომუშავე გამომძიებლებსა და პროკურორს. ათი
წლით სასჯელს ხომ აჯანყების ყველა მონაწილე იხ-
დიდა, როგორ უნდა დაესაჯათ ისინი? – მეთაურების
ფიზიკური განადგურება გადაწყვიტეს.


პროცესი დაიწყო. ლეიტენანტი ფაჩუაშვილი მომამა-
გრეს. ყოველ საღამოს კარცერში ჯალათი შემოჰყავდა
და უბრძანებდა, – დაამუშავე!.. სასტიკად მცემდნენ,
როცა ღონემიხდილი ბეტონზე დავეცემოდი, გავიდოდ-
ნენ და ჩამკეტავდნენ.

უფრო დიდ ტანჯვას ველოდი, ციხის რეჟიმის უფ-
როსის მიერ მინისტრისთვის მიცემული პირობა – ცო-
ცხალს არ დავტოვებთ, მოსვენებას არ მაძლევდა, ამი-
ტომ გაუსაძლის ყოფას მოთმინებით ვიტანდი!..

შოთა შავგულიძე
(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



შალვა ძნელაძის ნახატები



ნიქარების ფონოგრაფი

ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ თვითმყოფადი ენით შექმნილ ლექსებსა და მოთხრობებს, რომლებიც ამჟვეყნიური და ზესთასოფლიური სილამაზისა და ტკივილის შეგრძნებისა და თანაგანცდის შედეგადაა დაბადებული. მამა ადამის ლიტერატურული სამყაროს დიაპაზონი მაქსიმალურია – პირველქმნილი ბუნებრიობიდან ხელოვნურ ინტელექტამდე, წარსულიდან მარადისობამდე, ზემოსაზღვრულობიდან უსასრულობამდე. იგი იტევს დედამიწის წყლების უღრმესი უფსკრულების საიდუმლოსაც და კოსმოსის უსაზღვრობაშეუცნობადობასაც. ჩვენი წიგნი მკითხველს ცნობილ ვოიაჯერს გაახსენებს, რომელმაც ციურ სივრცეებში დედამიწის უმშვენიერესი ბგერების ოქროს ფირფიტაზე ჩანერილი ფონოგრამები წაიღო.

რედაქტორი ბელა სარია

წიგნი

უკარადო წიგნების მტვერი.

ბავშვის ჩვრადქცეული პერანგით გულმოდგინედ დანმენდილ-დასუფთავებული თაროები.

ნაირნაირად შენახულ-გაცვეთილი და დროობმოკიდებული ყდები.

მტვრისა და ობისა და ჭუჭყისგანაც გაშავებული ხელის მტვენები.

სულის შფოთვა, სულის კრთომა, სულის დღესასწაული. წიგნების კვალდამჩნეული სულის დღესასწაული.

გულის დღესასწაულიც: გულმკერდზე დადებული გადაშლილი წიგნი. გულით კითხვა. კითხვისთვის დაღლილი ტვინი. გულის ჯერგანუცდელი არითმიული შეხმანება. გზავნილები წიგნის პლანეტებიდან.

წიგნები, ტომეულები, კრებულები, ენციკლოპედიები, ფერადფერადი საბავშვო, გაყვითლებული პერიოდული და კოხტა მინიატურული გამოცემები, ვეებერთელა ალბომები. წიგნების სიბო. წიგნების სიყვარულის სიხარული.

ყავისფერყდიანი ძველი წიგნების ყვითელი კანქვეშა შრეები. მყესებივით, მხოლოდ სიბერისგან მოშვებული და მაინც ნაფლეთებად ქცევისგან გადამრჩენელი, მიძღვნამისაჩუქრება-მისახსოვრება შემომნახველი ნაოჭებიანსახიანი და კანკალიანი ცოცხალი ფორზაცები.

გაყვითლებული წიგნის გულის პერანგის ფურცლები, ზოგან – ორმოცდაათამდე, სხვაგან – ხუთასზე მეტი, და მოტკბო სურნელი.

გულის პერანგში – თავად გული.

გვერდიგვერდ შავი, ცოცხალი, ციტოპლაზმიან-ბირთვიანი უჯრედების რიგები, წყებები, სტრიქონები, აბზაცები, უჯრედთა ქსოვილებად და ტილოებად ქცეული სიმრავლე, უჯრედებს შორის მწირი სივრცის ნაკუნები (მეზობლის სუნთქვა რომ იგრძნოს, ისე!).

მიტოქონდრიებიანი და ქრომოსომებიანი უჯრედები. სხვა ჯიშისას მისხალითაც არმიმსგავსებული, გენომიკურად თვითმყოფადი ფორმითა და მოხაზულობით, სიღრმითა და სიმაღლით, ჩაუნდენელი არსითა და მიუწვდომელი ზეციურობით.

ამ უჯრედთა მთოვარიანი სინმიდნე და წერის მოქმედის სული აშენებენ გვერდებს, თავებს, კარებს, პარაგრაფებს... ამათგან – გული წიგნისა, ხან – ორმოცდაათამდე პერანგის ფურცლით, ზოგან – ხუთასზე მეტით, სხვაგან – ათასობით და ყველგან მტვრიანი, ისტორიანი, კეთილბოროტიანი, სიბრძნიანი, მრავალგვებიანი და, უბრალოდ, სხვანაირად ანდამატიანი, ზოგიერთ კაცს რომ იზიდავს მხოლოდ, სხვებს – არა.

წერის მოქმედების ნაყოფებით დაყურსული პერანგების ფურცლები. მოტკბო სურნელი – ჯერ ცხვირის ნესტო-

ებით აღქმული, მერე – სიტკბო ზღაპრისა, მოთხრობისა, სათავგადასავლო წიგნებისა... უფრო მოგვიანებით – საკმეველივით მოუხელთებელფთილებიანი ჰაერი პოეზიისა. სულ ბოლოს – გემოსურნელი სიტყვისა და შეგრძნება მისი ცოცხლად შეხებისა.

დახურული წიგნის ალარდენის მისტიკური ძალა და სილამაზე. მერე ისევ კანქვეშა შრეები. იმის შიგნით – გულის პერანგის ფურცლები და სიცოცხლიანი უჯრედებით აშენებული აზრების გალაქტიკები.

წიგნები – ბედნიერება!

წიგნები – ბედუკუთმართობა!

უცხოტომელთა ბარბაროსობა. სიონის ეზოში შვიდი დღე იწვოდა უძველესი ქართული ხელნაწერები. კვირის თავზე ჯერ კიდევ ბოლაგდა, იფერფლებოდა, უკვდავებაში გადადიოდა საგანძური!

როგორც ქრისტესთვის წამებულნი!

ესენიც!

ქრისტესთვის, და კიდევ – საქართველოსთვის, მისი გადარჩენისთვის, მთელი ქვეყნიერებისთვის, კაცისთვის და სიტყვისთვის ჯვარცმული წიგნები!

არქიმანდრიტი
ადამი ახალაძე



არქიმანდრიტი ადამი ახალაძე

ჩემს საყვარელ მეგობრებს!



ნინელი ხორბალაძე

ნინელი ხორბალაძე 1947 წლის 22 მარტს ქალაქ გორში დაიბადა. 1965 წელს დაასრულა გორის N 1 საშუალო სკოლა. ჩააბარა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის ფაკულტეტზე. 1973 წელს მუშაობა დაიწყო გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიში დირექტორის მოადგილედ იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მიმართულებით. 1987 წელს დაასრულა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მეხილეობა-მეზოსტენობის და მევენახეობის სპეციალობით. მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. 1999 წელს გორის სასოფლო-სამეურნეო (კოლეჯი) ტექნიკუმი გადაკეთდა კოლეჯად. 1999 წელს დაასრულა გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა გორის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დირექტორად. კოლეჯში 35 წელი იმუშავა. ახალგაზრდების აღზრდა-განათლებისა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში პირადი წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ლიონიძის ორდენით დააჯილდოვა. ქალბატონი ნინელი იუმორით გამოირჩევა, ხშირად აღნიშნავს, – სწავლის შესახებ ლენინის ანდერძი ყველაზე კარგად შევასრულე – სწავლა, სწავლა და სწავლა... სამ სპეციალობას ამიტომ დავუფუღლე. ჟურნალ გურიაRegion ივნისის ნომერში მისი დებიუტია. ლექსებს თავისი ადრესატი ჰყავს. ყველას ეფერება და ყურადღებას იჩენს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ჩემს ნინო ხორბალაძეს

რა ლამაზი ხარ ქალაუ!
გულს მოუმატა მღერამ,
სულ მინდა, შენზე ვიფიქრო,
ჩემო ლამაზო, ყველაგ!
მინდა რომ ყველამ გაიგოს,
ამ ჩემი გულის ძგერა,
არ მინდა სხვაზე ვიფიქრო
ამ სიყვარულის მჯერა,
როგორ მიყვარხარ ქალაუ!
ჩემო ლამაზო, ყველაგ!

სიყვარულის ბაღადა

სიზმრად გნახე ფეხშიშველი
მიდიოდი ცალადა,
მოდით, დავსხდეთ, გავიხსენოთ,
სიყვარულის ბაღადა.
მოდით, ჩემო საყვარელო,
ჩემო თვალის სინათლე,
კარს გაგიღებ, შემოგიშვებ,
სხვას არაფერს ვინატრებ.

სიყვარული

გულო ჩემო სიყვარულო,
ჩემო სულის გამოცდავ,
შენი დიდი სიყვარული,
სიზმარშიაც წამომცდა,

მინდა, დიდხანს მიერთგულო,
მდედვე სახლის კარამდე,
გავამხნეოთ ერთმანეთი,
სიყვარული გვფარავდეს,
გულო, ჩემო სიყვარულო,
ჩემო დიდი გამოცდავ!
აღარ მახსოვს სიყვარული,
მერამდენედ წამომცდა.

* * *

რა ტკბილი არის სიცოცხლე,
მოსვლა თავისით ინება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტვივით გაგვიფორინდება.

პანანინა ყვავილო

პანანინა ყვავილო,
საყვარელო პატარავ,
გულმა შენი სიცოცხლე
ხელის გულით ატარა –
დარჩი ჩემდა ნუგეშად,
დარჩი ჩემთან იქნები
მსურს, რომ დიდხანს გაცოცხლო
დამიჯერე, გპირდები.
პანანინა ყვავილო,
საყვარელო პატარავ,
გულმა შენი სიცოცხლე
იცი? – მე ჩამაბარა.

გაზაფხული

სულ მუდამ გაზაფხულია,
ია-ენძელა ჰყვავისა,
გამოიღვიძა ბუნებამ,
სიცოცხლე გაახალისა,
ძნელი ყოფილა სიბერე,
მოვიდა ჩემთან თავისად,
მაგრამ, უეცრად სიცოცხლე
მზის სხივმა გაახალისა.

ჩემს ანანო და მარო წიქარბებებს!

თქვენს დიდ სიყვარულს
მე გულით დავატარებ,
სულ მუდამ მენატრებით

ანანო! და მარო!

მუდამ თქვენზე ვფიქრობ,
სიზმარშიც მელანდებით,
ჩემო ძვირფასებო!

ანანო! და მარო!

მინდა გულში – ჩაგიკრათ და
კარგად მოგეფეროთ,
ძალიან მიყვარხართ!

ანანო! და მარო!

ჩემს ნიტა კვიწინაძეს

ჩემო თვალეზბატულა,
ლამაზო პანანინავ,
ნიტა! შენმა ბავშვობამ
მე თავი შემახსენა,
მინდა, დიდხანს იცოცხლო,
გქონდეს ლალი ცხოვრება,
დააფასო ამაგი,
ვინც გზრდიდა, გაცხოვრებდა.

* * *

ბუნებამ გამოიღვიძა,
მზემ დაჰკრა ბალახს თვალია,
მდელოზე გაჩნდა ყვავილი,
თავის სურნელით მთვრალია,
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
ია-ენძელა ჰყვავისა,
ლამაზად გალობს ბულბული,
ვარდს ეფერება თავისად.

მონატრება

ჩემო საყვარელო,
ჩემო თვალისჩინო,
როგორ მენატრები,
ვისთან დავიჩივლო,
შენი სიყვარული ჩემთვის უკვდავია,
არასდროს მაივწყდები,
უმეზოდ სულმკვდარი ვარ!

ჩემს მძიშვილ: დიანა ხორბალაძეს

ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი,
ჩემო საყვარელო დიანა!
შენმა სიკეთემ და ერთგულებამ,
გულს მოუშუშა იარა,
რა კარგი ქალი ხარ!
რა ადამიანი!
გულმა შენთან ერთად იარა,
ძალიან მიყვარხარ! და
სულ მუდამ მენატრები,
ჩემო საყვარელო დიანა!

ჩემს მანანა ჭაღიძეს

ლამაზი ბავშვობა
ჩვენ ერთად გავატარეთ,
ბავშვობის მეგობარო მანანა,
გვიყვარდა ერთმანეთი და
სულ ერთად ვიყავით,
ჩემო ერთადერთო მანანა,
ერთად ვიცინოდით,
ერთად ვთამაშობდით,

გვიხაროდა ერთმანეთის დანახვა,
გავიდა წლები და
ისევ ერთად ვართ,
ჩემო საყვარელო მანანა.

* * *

დიდხანს ველოდი გაზაფხულს!
მაგრამ სულ მალე გამოჩნდა
თან მოიტანა სურნელი,
მოაწყო ჩემი გამოცდა.
რა კარგი არის სიცოცხლე,
გულს სინანულით წამოსცდა
დიდხანს ვიცოცხლებ, გპირდებით,
სწორეა, ჩემი გამოცდა.

ნინელი ხორბალაძე



ჩიტი-ჩიორა

ჩემს ფანჯარასთან ლამაზად,
პატარა ჩიტი დამეჯდარა,
თავისი ტკბილი ჭიკჭიკით,
გაზაფხულიო – მახარა,
უცებ ფანჯარა გავაღე,
მინდოდა მისი მოსმენა,
მაგრამ, გაფრინდა სასწრაფოდ,
გულს დაუტოვა მოთმენა,
დიდხანს ველოდი, გამოჩნდა,
თან მოიყვანა ბარტყიო,
ერთად მღეროდნენ ორივე,
რა კმაყოფილი დავრჩიო.

ჩემს მეგობარ: იმედა ხუციშვილს!

ჩემი გულის მკურნალი ხარ,
ჩემო ერთადერთო,
საყვარელო მეგობარო,
სიყვარულის ღმერთო.

მინდა გულში ჩაგიკრა და
დიდხანს მოგეფერო,
ქვეყნად ჩემი იმედი ხარ,
ჩემო ერთადერთო,
საყვარელო მეგობარო,
სიყვარულის ღმერთო.

ნატვრა

როგორ მინდა მოვისმინო,
ცაში ფრინველთ გალობა,
მათმა ფრენამ, სილამაზემ,
ჩემი გული დაკოდა.
მინდა ფრენა მეც შემეძლოს,
ცაში ლაღად ვიფრინო,
შევეჯიბრო მათ ფრენაში,
ღმერთმა კარგად მისმინოს,
მინდა ვიყო ახალგაზრდა,
სიყვარულით გახსოვდეთ,
არასოდეს დამივიწყოთ,
ჩემზე კარგი გახსოვდეთ!

უპძვნი ჩემს მშობლებს: ლევან და ვერა ხორბალაძეებს

სულ მუდამ, მენატრებით,
სულ მუდამ მესიზმრებით,
რა ძნელი ყოფილა,
მშობლების დაკარგვა,
თქვენს ამაგს,
თქვენს სიტბოს,
მე, როგორ დავივიწყებ,
ძალიან გამიძნელდა,
მე თქვენი დაკარგვა.

ჩემს თემურს!

ღმერთმა, დიდხანს მიცოცხლოს
შენი თავი
ჩემო საყვარელო თემური!
რა კარგი ადამიანი და რა
გულისხმიერი,
ჩემო ერთგულო თემური!
მინდა კარგად იყო და დიდხანს
იცოცხლო,
ჩემო მეგობარო თემური!
დარჩენილი წლები ჩვენ ერთად
გავატაროთ,
სიცოცხლის ბოლომდე, თემური!
ღმერთმა, დიდხანს მიცოცხლოს
შენი თავი,
ჩემო საყვარელო თემური!

ჩემს საყვარელ მეზობლებს თქა კვიტიას!

მეზობელო კარისაო,
სინათლე ხარ თვალისაო
ჩემო პატარა მეგობარო,
ჩემო საყვარელო თეა,
რა კარგი შვილი ხარ,
როგორი გაზრდილი,
ჩემო ერთგულო თეა,
მსურს დიდხანს მოგეფერო,
და გულში ჩაგიკრა,
ამას სიყვარული ჰქვია,
ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი,
ჩემო ძვირფასო თეა!

მაია ფარულავას

ჩემო კარის მეზობელო,
საყვარელო მაიკო!
მინდა შენი სიყვარული,

გულმა კარგად გაიგოს.
მოდო, ჩემთან საყვარელო,
ჩემო თვალის სინათლე,
მინდა კარგად მოგეფერო,
გული სხვას რას ინატრებს.
ჩემო კარგო მეზობელო,
ჩემო თვალის სინათლე!

ჩემს გურულ მეგობრებს: ია მეფარიშვილს, მანანა და ზურბო სისხარულიძეებს

არასდროს დავივინწყებ,
ჩემს გურულ მეგობრებს,
სიცოცხლე ასე რომ გამილამაზეს,
მე მათ სიყვარულს
გულში დავიტოვებ,
ჩემს გულს გაახარებს და
გაალამაზებს.

ჩემს მეგობარ: ეთერ ჩიტაიას

ჩემი თვალის სინათლე ხარ,
ჩემი გულის მალამო,
მინდა გულში ჩაგიკრა და,
ხელის გულზე გატარო,
ჩემი თვალის სინათლე ხარ,
ჩემი გულის მალამო.

ჩემს საყვარელ მეგობრებს!

ლამაზი წლები ჩვენ ერთად
გავატარეთ,
მადლობა უფალს, რომ ერთად
გვამყოფა,
ახალგაზრდობა ერთად
გავიხსენოთ,
ჩემო ძვირფასებო!
ყოველთვის მახსოვხართ!

საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი

გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე საქართველოს მეფუტკრეთა კავშირს აქვს საფუტკრე. ბიოლოგიურად სუფთა თაფლი ევროსტანდარტების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. თაფლით და თაფლის პროდუქტებით მკურნალობისადმი ინტერესი მთელს მსოფლიოში გაიზარდა. მედიცინაში გამოიყენება ფუტკრის პროდუქტები; თაფლი, ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე, დინდგელი და ფუტკრის შხამი. აკაციის, პავლონიის, ამორფის, გლედიჩიას ნაზავი თაფლი ანუ მაისის თაფლი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, კავშირი ფუტკრის მომთაბარეობას წალკისა და ნინოწმინდის ალპურ ტერიტორიაზე ახორციელებს, სადაც ფუტკარი მინდვრის ყვავილებიდან აგროვებს, მაღალი ხარისხის თაფლს. აკაციისა და ნაზლის



რამაზ თავართქილაძე

თაფლი ბაქტერიოლოგიური თვისებებით გამოირჩევა. სუროს თაფლი ახალი ზელანდიის ძვირადღირებულ მანუკა თაფლზე უკეთესია. შემოდგომაზე ინურება. თაფლი მხოლოდ გარდაბნის ნაკრძალშია, რადგან სხვა ადგილებში სუროსთან ერთად სხვადასხვა მცენარე ყვავილობს, ამიტომ სუფთა სუროს თაფლს ვერ მიიღებ.

წურნალი გურიაRegion თაფლის სამკურნალო თვისებებზე არა ერთხელ გაიმბობთ. გთავაზობთ, ენერგიის აღდგენის საუკეთესო საშუალებას. 50-100 გრ. თაფლს დაუმატეთ ორი ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. შეიძლება მიიღოთ დაძინების წინ, ვაშლის ძმართან ერთად, თაფლს დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, თავი ტკივილს ხსნის.

რამაზ თავართქილაძე

საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეფუტკრეობის კოორდინატორი, ტაო-კლარჯეთის და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი



საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის მისამართი:

ქ თბილისი, თამარაშვილის 15ა.

მობილური ტელეფონი: 599 490 950

e-mail: tavartkiladzeramazi@gmail.com

არტერიული ჰიპერტენზია

არტერიული ჰიპერტენზია (აჰ) სისხლის სისტოლური (სწ)/და /ან დიასტოლური წნევის (დწ) მომატებაა, ან არტერიული წნევის მატება ისეთ ციფრებამდე, რომლის დროსაც იზრდება სამიზნე ორგანოების სისხლძარღვების, კერძოდ, ტვინის, ბადურას, გულის, თირკმელების და დიდი არტერიების დაზიანების რისკი.

არტერიული ჰიპერტენზიის აღმოცენების მიზეზების მრავალფეროვნება ერთნაირად საინტერესოს ხდის მისი დიაგნოზისა და მკურნალობის საკითხებს შინაგან სწეულებათა სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებისთვის (კარდიოლოგი, ნეფროლოგი, ენდოკრინოლოგი, რევმატოლოგი). აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სისხლის წნევის მომატება, რომელიც „ჩვენი ცხოვრების შემოდგომის თანამგზავრ დაავადებად“ ითვლებოდა, კარგა ხანია პედიატრების ინტერესთა სფეროშიც მოხვდა.

განვითარებულ ქვეყნებში არტერიული ჰიპერტენზია აღენიშნება მოსახლეობის 1/6-ს; ამასთან, შემთხვევათა დაახლოებით 90-95%-ში მისი განმაპირობებელი მიზეზი უცნობია და „ესენციურ ჰიპერტენზიად“ (ჩვენში „ჰიპერტონულ დაავადებად“) იწოდება.


თეზისი Qui bene diagnoscit, bene medebitur (ვინც დიაგნოზს კარგად სვამს, კარგად მკურნალობს კიდეც) მხოლოდ მეტ-ნაკლებად არის სარწმუნო. სწორად დადგენილი დიაგნოზის შემთხვევაში ადექვატური მკურნალობა არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტთა მხოლოდ 1/4-ს უტარდება. ანტიჰიპერტენზიული წამლების მრავალრიცხოვნებას (მათი რაოდენობა დღეისათვის რამდენიმე ასეულია) დადებითი გარდა, უარყოფითი მომენტიც ახლავს: ექიმს უჭირს ამ უზარმაზარ არსენალში ორიენტირება, სიახლისთვის თვალის მიდევნება. ჩვენში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა; კომერციული არხებით უამრავი ახალი მედიკამენტი შემოდის, მათ შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა კი მხოლოდ წამლის თანხლებული ინსტრუქციით შემოიფარგლება, რაც ცხადია არასაკმარისია.

მოზრდილებში არტერიულ ჰიპერტენზიად მიიჩნევა ის შემთხვევები, როდესაც არტერიული წნევა ვწყ.სვ.140/90 მმ-ს მუდმივად აღემატება.

მოზრდილებში დიასტოლური წნე-

ვის სიდიდე 85-89 მმ მიჩნეულია ნორმის ზედა საზღვრად.

ჯანმრთელ პირებში სისხლის წნევის მერყეობის ამპლიტუდამ დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება 30 მმ-ს მიაღწიოს. წნევის მაქსიმალური მაჩვენებლები აღინიშნება დილით ადრე, შედარებით დაბალი-შუადღეს, მინიმალური-ძილის დროს.



თემურ მაზარაძე

არტერიულ წნევას, კონსტატირებულს (დაფიქსირებულს) ექიმთან პაციენტის პირველი ვიზიტის დროს, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ხშირად შემთხვევით არტერიულ წნევას უწოდებენ.

მშობლებისა და შვილების სისხლის წნევის მაჩვენებლებს შორის მჭიდრო კავშირი აღინიშნება.

გაზომვის ტექნიკა

არტერიული წნევა, ჩვეულებრივ იზომება მხრის არტერიაზე მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში. წნევის გაზომვამდე აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტორები, რომელთაც შეიძლება განაპირობონ წნევის დროებითი მომატება და, აქედან გამომდინარე გამოკვლევის ცრუდადებითი შედეგი. ესენია:

- საკვების მიღება წნევის გაზომვამდე 30 წუთის განმავლობაში, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის ან ყავის მიღება პროცედურამდე;

- პაციენტის შინაგანი დაძაბულობა;
- საუბარი წნევის გაზომვის დროს;
- ფიზიკური დატვირთვა;
- გარემოს დაბალი ტემპერატურა;
- გადავსებული შარდის ბუშტი;
- ტკივილი;
- ზოგიერთი მედიკამენტის მოქმე-



დების ფონი (ესტროგენები, კორტიკოსტეროიდები, ადრენერგიული პრეპარატები, მათ შორის ცხვირში ან თვალში ჩასაწვეთებელი);

გაზომვისას ფეხები არ უნდა იყოს გადაჯვარედინებული.

წნევის გაზომვის დაწყებამდე აუცილებელია:

- პაციენტი მოხერხებულად მოეწყოს სანოლზე ან სკამზე;

- თავისუფლად იწვეს (ან იჯდეს) სულ მცირე 5 წუთის განმავლობაში მხარზე შემოხვეული მანუეტი; კიდური დატვირთვას არ უნდა განიცდიდეს;

- მანუეტის სიგანე უნდა შეესაბამებოდეს კიდურის ზომას; თითქმის მთლიანად უნდა ფარავდეს მხარს;

- შემოხვეულ მანუეტსა და კიდურის ზედაპირს შორის თავისუფლად უნდა თავსდებოდეს ერთი თითი.

„მუწვი ზონა“ (ჩავარდნის ფენომენი)

- ზოგჯერ სისხლის არტერიული წნევის გაზომვის დროს ტონები აღმოცენების შემდეგ ქრება, ხოლო მანუეტში წნევის შემდგომი დაქვეითებისას კვლავ მოისმის. ასეთი რამ არტერიული ჰიპერტენზიის დროს ხდება ხოლმე. მაგალითად პირველი ტონი მოისმინება 190 მმ-ზე და კვლავ გამოჩნდება 130 მმ-ზე. ამ შემთხვევაში, თუ გაზომვისას მანუეტში წნევა მხოლოდ 150 მმ-მდე აინია, სისტოლური წნევის სიდიდე მცდარად შეფასდება-130 მმ, ნაცვლად 190 მმ-ისა.

ერთი ვიზიტის განმავლობაში წნევა ორჯერ უნდა განისაზღვროს 2 წუთიანი ინტერვალებით. თუ სხვაობა 5 მმ-ზე მეტია, საჭიროა კიდევ ერთი გაზომვა. გაზომვებს შორის მანუეტიდან ჰაერი მთლიანად უნდა გამოვუშვათ. ფიქსირდება გაზომვის შედეგებიდან უმცირესი.

არტერიული წნევის დონე უნდა განისაზღვროს ორივე ზედა კიდურზე, სხვაობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება უფრო მაღალი მაჩვენებელი. მარჯვენა ხელზე 5-10 მმ-ით მაღალი წნევა აღენიშნება ჯანმრთელი პირების 20%-ს.

სასურველია წნევის გაზომვა როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ხანდაზმულ პაციენტებსა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში.

არტერიული ჰიპერტენზიის კონსტატაცია (დაფიქსირება).

არტერიული წნევის ნორმულზე მაღალი მაჩვენებლის ერჯერადი კონსტატაცია ჯერ კიდევ არ აძლევს უფლებას ექიმს, აპ-ის დიაგნოზი დადგენილად ჩაითვალოს. ცხადია აქ არ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც წნევა მკვეთრად არის მომატებული (180/110 მმ-ზე) ან აღინიშნება ისეთი პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს.

აპ-ის კონსტატაცია ისევე, როგორც საბოლოო დასკვნის გამოტანა მისი არსებობის შესახებ, ექიმისგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მხედველობაშია მისაღები ფსევდოჰიპერტენზიისა (ცრუ ჰიპერტენზიის) და ფსევდონორმოტენზიის (ცრუნორმოტენზიის) არსებობის შესაძლებლობა.

თეთრი ხალათის სინდრომით განპირობებული

ფსევდოჰიპერტენზია

თეთრი ხალათის სინდრომი გულისხმობს პაციენტის ფსიქოემოციური სფეროს თავისებურებას, რაც განაპირობებს აპ-ს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის წნევა ისაზღვრება ექიმის მიერ ან მისი თანდასწრებით. სხვა დროსა და გარემოში წნევა ნორმის ფარგლებშია.

ამრიგად, თეთრი ხალათის სინდრომის არსებობაზე ეჭვი უნდა მიიტანონ იმ შემთხვევებში, როდესაც მნიშვნელოვანი სხვაობაა, ერთის მხრივ სახლის პირობებში და, მეორეს მხრივ ამბულატორიაში ან სტაციონარში გაზომილი წნევის მაჩვენებლებს შორის.

ჭარბი წონის მქონე პაციენტთა ფსევდოჰიპერტენზია

ჭარბი წონის მქონე პირებში წნევის განსაზღვრის აუსკულტაციური მეთოდი ზოგჯერ მცდარ შედეგს იძლევა. კერძოდ, აღინიშნება ხოლმე დნ-ის რეალურზე (ინტრაარტერიული მეთოდით გაზომილზე) უფრო მაღალი მაჩვენებელი, რაც შეიძლება ჰიპერტენზიის კონსტატაციის საფუძველი გახდეს (ფსევდოჰიპერტენზია!). შეცდომის ერთ-ერთი მიზეზია შეუსაბამო გამოყენებული მანჟეტის ზომებსა და მსუქანი პაციენტის მხრის გარშემოწერილობას შორის.

ფსევდოჰიპერტენზია ხანდაზმულობის ასაკში

ხანდაზმულ პირებში მხრის არტერიის კედლების დრეკადობის შემცირებამ შეიძლება (ცრუ), ფსევდოჰიპერტენზია განაპირობოს. ეს უკანასკნელი აპ-ის

მქონე 60 წელს გადაცილებული პაციენტების 50%-ს აღენიშნება.

ჰიპერტონული დაავადება (ანუ ესენციური პირველადი)

ჰიპერტენზია

რისკ-ფაქტორები

ესენციური ჰიპერტენზიის რისკ-ფაქტორებია:

- ჭარბი წონა;

- სუფრის მარილის ჭარბი რაოდენობით მოხმარება;

- ფსიქიკური სტრესი, ხანგრძლივი ფსიქოემოციური დაძაბულობა.

- ალკოჰოლის სისტემატური მიღება - ყოველდღიურად 28,3 გ-ეთანოლზე მეტი.

ეპიდემიოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია კავშირი საკვებში სუფრის მარილის რაოდენობასა და არტერიულ წნევას შორის.



ძლიერი აფექტებით, კონფლიქტურ სიტუაციასთან დაკავშირებული კომპლექსური ემოციებით, ყოფითი ან პროფესიული ხასიათის ხანგრძლივი, სისტემური ფსიქოემოციური დაძაბულობით, გონებრივი გადატვირთვით განპირობებული ნევროზული ფონიც ესენციური ჰიპერტენზიის განვითარების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. ალკოჰოლის სისტემატური მიღება (ეს არის: ყოველდღიურად ეთანოლის 28,3 გ-ზე მეტი, შესაბამისად, 100 მლ. არაყი ან კონიაკი, 500 მლ ღვინო, 800-900 მლ ლუდი) ხელს უწყობს წნევის მომატებას.

თუ ექიმი დაადგენს, რომ არტერიული წნევის მატება არ არის გამოწვეული სხვა ორგანოთა ან სისტემების დაზიანებისაგან, ინიშნება მკურნალობა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ესენციური ჰიპერტენზია - წნევის დაავადება. თუმცა მკურნალობა ინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის ყველა შემთხვევაში, განურჩევლად მიზეზისა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჯგუფი პრეპარატებისა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ერთ შემთხვევაში, ზოგიერთი პათოლოგიის დროს შეიძლება სერიოზული გართულების მიზეზი გახდეს. არავითარ

შემთხვევაში არ შეიძლება არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა პრინციპით - „კარგი წამალია, ვალიკოს მოუხდა“ და ა.შ. პატენტგორიულად გაემიჯნეთ მეზობლების, ნაცნობების (არა ექიმების) რჩევებს, რომლებსაც დაუზარებლად მოგანვდიან პირველივე შესაძლებლობისას. ზაფხულში თითქმის ორი თვე მინევეს ჩემს მშობლიურ საყვარელ ლანჩხუთში ყოფნა. აი, აქ განსაკუთრებით ხშირად მესმის პაციენტებისაგან: „წნევა კი მაქ ექიმო, მარა არ მანუხებს“. საქმე ისაა, რომ თუ პაციენტს წნევის მატებისას აქვს თავის ტკივილი, წვა კეფის არეში, შემოხურება - ეს არის ბედნიერება, რადგან წნევის სტაბილური მატებისას ვითარდება ე.წ. „ჰიპერტენზიული ჰიპოალგეზია“ ანუ არანაირი უარყოფითი შეგრძნება, განსაკუთრებით თავის ტკივილი არ აღინიშნება. პირიქით ასეთი ავადმყოფები თავს უარესად გრძნობენ, განსაკუთრებით სტაბილური მკურნალობის დაწყებისას თუ წნევა ნორმულ ციფრებამდე ჩამოვა, მაგრამ ეს სიტუაცია დროებითია და პაციენტები ეჩვევიან ნორმალური წნევის პირობებში ცხოვრებას.

ვანყეები ორ უკიდურესობას: პირველი - ავადმყოფები საერთოდ არ აქცევენ წნევის მატებას ყურადღებას, ეს იგივეა გალიაში ლომთან რომ შეხვიდე და არ ფიქრობდე იმაზე, რომ ლომი, რომ მოშივდება აუცილებლად შეგჭამს და მეორე-წნევის მრავალჯერ გაზომვა დღე-ღამის განმავლობაში, ანუ წნევაში ცხოვრება ასეთ დროს ადამიანები იღებენ ე.წ. მარეგულირებლებს (მცდარი შეფასებაა, რაც არ ვიცი ვინ შემოიღო, მაგრამ ფაქტია ძალიან გავრცელებულია როგორც პაციენტთა, ისე ექიმთა შორისაც). შემდეგ ამ მარეგულირებლებს ამატებენ წნევის უფრო სწრაფად დამწევი საშუალებებს (კაპტოპრილი, ნიფედინი, კლოფელინი) და შედეგად ვიღებთ დღე-ღამის რომელიმე მონაკვეთში წნევის ვარდნას, რაც შეიძლება სერიოზული გართულებების მიზეზი გახდეს, განსაკუთრებით გერიატრიულ (ხანდაზმულ) პაციენტებში, წნევის გაზომვა საჭიროა დღეში ორჯერ, ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით და დაინიშნული მედიკამენტის მიღება წნევის მატებისას, თუ ნორმალურია წნევა ან ნორმაზე დაბალი, გამოტოვეთ პრეპარატის მიღება.

თემურ მახარაძე

კარდიოლოგი, თერაპევტი, მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გისურვებთ ჯანმრთელობას!

პირველი ციფრული ფული – სფერო ქოინი



გიგა წულეისკირი

თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის 118-ში, მულტიფუნქციურმა კორპორაცია სფერო ჰოლდინგმა პირველი ციფრული ფულის – სფერო ქოინის წარდგინება მოაწყო.

სფერო ქოინი არა მარტო მნიშვნელოვანი მოვლენაა კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სფეროში, არამედ საქართველოს ტექნოლოგიური მომავლისკენ გადადგმული თამამი და ამბიციური ნაბიჯია.

ქართულ ფინანსურ რეალობაში ახალ სიტყვას, საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ცნობილი სახეები – მსახიობები, მომღერლები, ბიზნესსექტორის, საინვესტიციო წრეების, მედიის, ტექნოლოგიური სფეროს და სხვადასხვა ინსტიტუციის წარმომადგენლები ისტორიულ დღეს, სფერო ქოინის მასშტაბურ ღონისძიებას დაესწრნენ. სფერო ჰოლდინგის დამფუძნებელს, გიგა წულეისკირს წარმატებები უსურვეს.

სფერო ქოინი წარმოადგენს ახალ საფინანსო ინტრუმენტს, რომელიც ქმნის შესაძლებლობას ბიზნესებისთვის, დეველოპერებისთვის და ტექნო-



ლოგიური სტარტაპებისთვის, ისარგებლონ ციფრული ვალუტის უპირატესობით – ქართულად.



ელენე ჩუბინიძე

თქვენ უნდა გახდეთ მათი პარტნიორი – მიიღებთ გადახდებს სფერო ქოინით, ჩაერთვებით სფეროს ეკონომიკაში, მათი მიზანია, სფერო

ქოინი ყოველდღიური გადახდის საშუალებად იქცეს.

გამოიყენეთ სფერო ქოინი დეველოპმენტში – დეველოპმენტებსა და IT კომპანიებს უკვე შეუძლიათ მიიღონ ანაზღაურება სფერო ქოინით, ასევე იქმნება სივრცე, სადაც სერვისების ოდინგიც პირდაპირ კრიპტოთი იქნება შესაძლებელი.

რატომ სფერო ქოინი? – პირველი კრიპტო უკვე ხელმისაწვდომია, სტაბილურად იზრდება მომხმარებლებისა და პარტნიორების რაოდენობა, იგეგმება, რაც შეიძლება მეტ მალაზიასთან და სერვისთან ინტეგრირება.

შეხვედრის დასასრულს, მულტიფუნქციური კორპორაციის ხელმძღვანელმა, გიგა წულეისკირმა ყველა მონაწილეს 100 სფერო ქოინით დაასაჩუქრა.

სფერო ქოინი ქართული ციფრული ეკონომიკის მომავალია.



მობილური ტელეფონია:

+995 592 404 404

INFO@SFEROHOLDING.GE



სვებო ქოინი ქაბთლი სიფჰული ეკონომიკის მომავალი



ფოტო-კოლაჟი



ფოტო: ლელა სურმაგა

ნარმატება უწყვეტი მოგზაურობა

2025 წლის 17 მაისს თბილისში, რესტორან მარგო ძველი თბილისის პანორამულ ტერასაზე ლიდერ ქალთა საზოგადოებამ ჟურნალ *Business Women Magazine* მეცხრე ნომერი წარადგინა.

ძველი თბილისის ხედებისა და ეკლესიების წინ იდგა ლამაზი და წარმატებული, მომწუსხველი ნათია შათირიშვილი. თითოეულმა მონაწილემ მისი შინაგანი სამყარო კარგად აღვიქვით...

საქართველოში გამოცემული პრესტიჟული ბიზნეს ჟურნალი აერთიანებს წარმატებულ, პროფესიონალ, ინოვაციურ და ბიზნეს ლიდერებს მთელს საქართველოში.

ჟურნალი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა, ვრცელდება საქართველოში და საზღვარგარეთ.

ლიდერ ქალთა საზოგადოების, ბიზნესის აკადემიის დამფუძნებლის და ხელმძღვანელის, ნათია შათირიშვილის მთავარი მოტივაცია სამართლიანობისა და თანასწორობის იდეებისადმი ერთგულებაა: დღეს არ გვაქვს ოფიციალური შეხვედრა. მოვინვიეთ კორიფეები და დამწყები ბიზნესმენები. ყურადღებით მოვისმინოთ, თუ რა გზა გაიარეს. პრაქტიკული რჩევები და საუკეთესო მაგალითები, დაგეხმარებათ, წარმატებას მიაღწიოთ და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბდეთ. ასეთი ადამიანების ისტორიები აერთიანებს და აძლიერებს ჩვენს საზოგადოებას, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი, ხვალ სხვებს შთააგონებს. ამიტომ ერთად შევექმნათ უკეთესი, უფრო ინკლუზიური და ძლიერი სამყარო!..

ნარმატება უწყვეტი მოგზაურობაა...

ბიზნის აკადემიის თანამშრომლებმა სიამაყით აღნიშნეს, – ნათია შათირიშვილის სახელი და გვარი ბრენდია.



ნათია შათირიშვილი



კომპანიებთან საუბარი და ურთიერთობა გვიმარტივდება...

ნათია შათირიშვილის შვილი, ვაკო ყორღანაშვილი წარმატებული ახალგაზრდაა. ვაკო ლიდერ ქალთა ორ-

განიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს, როდესაც დედას შვილი ღამის საათებში დაძინებული ჰგონია, ვაკო სამსახურში საქმიანობს. ქალების გარემოცვაში, ღონისძიებას ლაღად და თავისუფლად უძღვებოდა. გიორგი ბერიძემ კიდევ ერთხელ შეგვასვენა, – ამ ქალბატონებს განსაცდელში მყოფი ადამიანების მიმართ საოცარი თანადგომა შეუძლიათ. დასასრულს, ვაკომ მოწვეულ სტუმრებს 22 ივნისის შეხვედრაზე ესაუბრა. ისევ შეიკრიბებიან და ერთმანეთს გულთბილად მოიკითხავენ.

ნარმატების გზაზე მოგზაურობას რუტინული შრომა ახლავს!.. დამწყებ ბიზნესმენებს მართლაც კორიფეება დამატებითი სტიმული მისცეს, ურჩიეს, არ დანებდნენ, დაულაღვად იშრომონ და ბოლომდე იბრძოლონ!..

პრესტიჟულ ჟურნალში გამოქვეყნება რესპონდენტებს უფრო მოტივირებულს ხდის, ღონისძიების დროს, დადებით ემოციას და სიხარულს ვერ ფარავდნენ.

ნათია შათირიშვილმა ჟურნალ გურიაRegion თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ჟურნალი *Business Women Magazine*, ტელეკომპანია *PalitraNews*... საქმიან ქალბატონებს უკვე რეგიონული მედია წარმოაჩენს. ქალბატონი ნათია გურულია, ჩოხატაურში დაიბადა და გაიზარდა, უყვარს თავისი კუთხე, ამიტომ სხვაგვარ გადანეგეტილებას ვერ მიიღებდა.

ნათია შათირიშვილი და ლიდერ ქალთა ორგანიზაციის წევრები აშშ-ში გაემგზავრნენ, შემდეგ დიდი ბრიტანეთში ჩავლენ... ქალბატონი ნათიას ძალისხმევით, საინტერესო ქართველებს კიდევ ბევრი ქვეყანა გაიცნობს...

ლელა სურმავა



პრესიუმი ქუჩა Business Women Magazine



პეცხრა ნოჰრის ნაჲგბინება



ფოტო: ლელა სურმაგა

ნაღდა გურულებმა სტარტი აიღო



კახა ნაჭყებია



კახა ნაჭყებია



ნაგომარის ჩაის პლანტაცია

გურიაში ჩაის კულტურა უცვლელია – ასეთი სათაურით დაიბეჭდა ინტერვიუ ჟურნალ გურიაRegion 2025 წლის იანვრის ნომერში, ანასეულის კვლევითი ცენტრი ქართული ჩაის ცნობადობის ამაღლებაზე დაუღალავად ზრუნავს. 2021 წელს კოლხეთის ფარგლებში მოქცეული დაცული ტერიტორიები (UNESCO) მსოფლიო მემკიდრეობის წესებში შეიტანა, რაც ბუნებრივი ობიექტების საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს. გურიაში წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგებია გავრცელებული და განსაზღვრავს ნახევრად სუბტროპიკულ ხასიათს. ამიტომ რეგიონში ადგილობრივი ხეხილისა და ვაზის ჯიშის გარდა, ხარობს ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და სხვა.

ჟურნალი ჩაის კულტურის პოპულარიზაციას აგრძელებს...

კახა ნაჭყებიას ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკის დასათვალისწინებლად ნაგომარში ვენიე. საინტერესო რესპონდენტი თავის სოფელზე და ცნობილ ადამიანებზე მომთხრობს: ნაგომარი გურიელების ზამთრის რეზიდენცია და სამოურავო იყო, მათი მოურავები გუგუნავები იყვნენ. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ნაგომარი ასკანის სასოფლო-საზოგადოებაში იყო გაერთიანებული. საბჭოთა დროს მახარაძის რაიონში ყველაზე მდიდარი კოლმეურნეობა ჰქონდათ – ნაგომარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, 1957 წელს საქართველო ეწოდა, წამყვანი დარგი მეჩაიეობა (278 ჰა, ციტრუსი 4 ჰა). თემი ოთხი სოფლისგან შედგება – ნაგომარი, ჟანაურა, ეწერი და შუა ისნარი. ნაგომარი მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე, ტყე-ნაკრძალ წყავის შტოს ირგვლივ მდებარეობს. განვითარებას იწყებს ტრადიციული დარგი მეჩაიეობა, ფუნქციონირებს ორი მიკრო-ფაბრიკა. ჩაის და მოცვის წარმოება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილობრივების დასაქმებაში, შეაჩერებს რეგიონისთვის ყველაზე მტკივნეულ, ახალგაზრდების მიგრაციის პროცესს.

ნაგომარში ცნობილი ქართული ფილმებია გადაღებული – ჭრიჭინა, შეხვედრა წარსულთან...

აქ მწყემსები იყვნენ, გომურები ჰქონდათ, სწორედ აქედან მოდის ნაგომარის დასახელება. თედო სახოკიას მოსაზრებით გომი ფარებს ნიშნავს, ნაგომარი კი ნაფარებალს. პოემა თამარიონის ავტორი სიმონ გუგუნავა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებაში, მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი სამრევლო სკოლის გახსნა, სიმონ გუგუნავას სახლში იყო პოეზიის სასახლე, ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

XX საუკუნის ცნობილი ადამიანები, მომღერალი ზაურ ბოლქვაძე, მსახიობი მერაბ ნინიძე, დიდ ნაკვეთს შეხედეთ, იქ მერაბი სახლში აშენებს. ბიძა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე გიგლა ნაჭყებია.

– ბატონო კახა, გურიის სოფლები დაცლილია...

– 400-მდე კომლი ცხოვრობს, სულ მიტოვებული 10%-ია. საზღვარგარეთ წავიდნენ. ედუარდ შევარდნაძის მმართველობიდან 2012 წლამდე პოლიტიკოსებს მართო არჩევნების დროს ვახსენდებოდათ. ადგილობრივებს შრომის ინტერესი და მოტივაცია დაეკარგათ. 2012 წლიდან ამოქმედდა პროგრამები. თბილისში წასული ხალხი დაბრუნდა. 2016 წლიდან მიმდინარეობს პროგრამა ქართული ჩაი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის გაზრდა და ადგილობრივი ჩაის წარმოების ხელშეწყობა, თვითუზრუნველყოფის ამაღლება და ექსპორტზე გატანა. ხედავთ, მოცვის პლანტაციები დიდ ფართობებზეა გაშენებული, ახლაც თავჩარგულნი შრომობენ.

– მოცვის პლანტაციების ასეთი მასშტაბი მართლაც მოულოდნელი იყო. ნაგომარის ჩაის ფაბრიკას და პლანტაციებს მიუზახლოვდით. ნაჭყებიების პლანტაციებს კურორტი გომის მთა დაჰყურებს, საუკეთესო ჰავა ჩაის ხარისხს ზრდის. გურულების საყვარელ კურორტზე ეროვნული პარკი დაარსდა.

2014 წელს კახა და ჯონი ნაჭყებიებმა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოება დაიწყეს. გურიაში და მთელ საქართველოში მათი ჩაი მოსწონთ. გავლენიანმა გამოცემამ ვაშინგტონ პოსტმა ძმებ ნაჭყებიებზე ვრცელი პუბლიკაცია მოამზადა.

– ჯონი ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს, ქალიშვილმა ოზურგეთის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, უმაღლესში ჩაირიცხა, 100%-ი გრანტი მოიპოვა, შვილებს იქ უფრო მიაქცევენ ყურადღებას. ჩაის ფაბრიკის გახსნა ჯონის ინიციატივა იყო. ოჯახში ჩაის სიყვარული ტრადიციად გვექცა, ჩვენი და ნინო ნაჭყებია 11 წლით უფროსია. ის პირველი მექანიზატორი ქალია, ტრაქტორზე დაჯდა და ჩაის კრეფდა. მამა, მურმან ნაჭყებია 1994 წელს გარდაიცვალა, დედა, იზო მხნედ გამოიყრება, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. წელიწადში 20 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდნენ. გვქონდა პატარა საგრეხი, როლერი, ხის საშრობი, სოფლები ფეხით შემოვიარეთ, ჩავატარეთ აღწერა, იყო თუ არა საკმარისი რესურსი – ფართობების რაოდენობა. ყველა ოჯახში მივედით, დავაზუსტეთ, ვის რამდენი მიწა ჰქონდა. შემდეგი ეტაპი იყო დაფინანსების მოძიება,



ჩვენს სიძეს რკინის შემდუღებელი საწარმო ჰქონდა, იქ კუსტარულად მოვანყვეთ, რთული გზა გავიარეთ, – უცნობი პროდუქცია, არაპროფესიონალები, დავით თენიეშვილი გვინებდა კონსულტაციას. აწარმოე საქართველოს პროგამაში გავიმარჯვეთ, 40 000 ლარით დაგვაფინანსეს, დიდი საშრობი ვიყიდეთ. ქარხანა ჩვენი სახსრებით ავაშენეთ, აგრო სესხის ფარგლებში 30%-ს ჩვენ ვიხდით, დანარჩენს სახელმწიფო აფინანსებს. თავდაპირველად ამ შენობაში კოოპერატივი დავაარსეთ, არ გაამართლა, ვფიქრობ, ქართველი ფერმერები ჯერ მზად არ არიან.

– რა არის მთავარი დაბრკოლება?..

– კოოპერაციის იდეა კარგია, ყველა თავის წილს იღებს, თუმცა საქმის კეთებას სხვას სთხოვენ. ორჯერ შეიქმნა კოოპერატივი და მაშინვე გაფაქქმე. როცა სოფლის მეურნეობა გაძლიერდება, ჩვენ მაინც მივაღწეოთ კოოპერაციასთან. ჩაის კულტურა და წარმოება უკვე შვილიშვიტით გვიყვარს, პლანტაციებს თავს ვეველებით.

– თქვენი მონდომება და შრომის სიყვარული, სხვა მენარმეებისთვის მაგალითის მიმცემია, რამდენ ჰექტარს ფლობთ?..

– შიშველი ხელებით დავიწყეთ, მეზობლებში ვკრეფდით, აქ ტყე იყო, გავასუფთავეთ, 6000 კვ.მ-ი გვქონდა, ახლა 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს. 10 ჰექტარია რეაბილიტირებული, რამდენ პროდუქციასაც ვყიდით, იმ ოდენობას ვამუშავებთ, – გაკრეჭა, სასუქები. საბედნიეროდ, კარგი მცენარეა, არ ხმება...

– ჩაი გურულები საუკეთესო გემოვნური თვისებებით გამოირჩევა, ნიადაგთან ერთად, კარგი კლიმატური პირობებია?

– თქვენ ხედავთ გომის მთის დათოვლილ მთებს – მაისი-ივნისამდე არ დნება, სწორედ ამ დროს იკრიფება ჩაის ფოთოლი, როგორც ხაშმის საფერავია განთქმული, ასევეა ჩვენი ჩაი. ბუჩქის ჯიშსაც აქვს მნიშვნელობა. რეჟისორ სიკო დოლიძის ახლო მეგობარი იყო შალიკო სარიშვილი, ნაგომარში საუკეთესო ჯიშების დარგვა, მისი დამსახურებაა. პატრიოტი ადამიანების სიკეთეს ახლაც ვიმკით.

წყავის შტოს ნაკრძალში ორსართულიანი სასტუმრო იდგა. ტერიტორია შვლებითა და გარეული ღორებით იყო სავსე. აქ ლეონიდ ბრეჟნევი ნადირობდა. დიდი ჩაის ფაბრიკა გვქონდა, ყოველდღე 130 ტონა ფოთოლს კრეფდნენ. ნახევრადმუჟავიანი ნიადაგია, ამიტომ მოცვიც კარგად ხარობს.

– მოცვის ნაყენზე და მწვანე ჩაიზე გვიამბეთ, რატომ უნდა იყიდონ?

– კავკასიური მოცვი აჭარა-გურიის სუბალპურ ტყეებშია გავრცელებული, ცნობილია კავკასიური მოცვის სახელით. მოცვის ნაყენს მომჟავო-მოტკბო გემო აქვს. ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება. კარგი შეკითხვაა, – რატომ უნდა იყიდონ? – კუჭ-ნაწლავს ანესრიგებს, მხედველობასა და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ორგანიზმიდან ტოქსინებს გამოჰყვავს, რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, მოცვის სისტემატური მიღება ორგანიზმის ფუნქციას, ტვინის მკვდარ უჯრედებს აღადგენს. ვიტამინებით, მინერალებითა და ანტიოქსიდანტებით მდიდარი მწვანე ჩაის დასამზადებლად ახალგაზრდა ფოთოლი გამოიყენება. მინიმალური ფერმენტაცია და განსაკუთრებული ტექნოლოგია გემოვნურ და სამკურნალო თვისებებს უნარჩუნებს. მწვანე გრეხილი ჩაის ნაყენს რბილი არომატი აქვს. შეგიძლიათ დღის განმავლობაში მიირთვათ.

– როგორ ხდება პროდუქციის რეალიზაცია?

– ჟურნალის მკითხველებმა პირველ რიგში უნდა იცოდნენ, ქართული ჩაი ფეხს იდგამს, ცნობადობა იზრდება. საქართველოში 100 ტონა ჩაის მოიხმარენ, ჩვენ 20-30 ტონას ვანარმოებთ. ყველა მეჩაიეს ერთმანეთში მჭიდრო კოორდინაცია გვაქვს. ჩემი პროდუქცია სასტუმროებში შემაქვს, ქსელურ მარკეტებთან არ ვთანამშრომლობ, სასტუმრო შერატონ თბილისთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, 2000 ცალი ერთჯერადი ჩაი შევიტანეთ, იმედია, შეკვეთა გაიზრდება. ჩვენ შორის არ არის კონკურენცია, ჩაის მწარმოებლები კარგი მეგობრები ვართ.

– როგორ გეხმარებათ მენარმეებს სახელმწიფო?



– 9 ჰექტარი პლანტაცია იჯარით ავიღეთ, სოფლის განვითარების სააგენტო წელიწადში ერთ ჰექტარს 50 ლარად გვაძლევს, ერთი ჰექტარის რეაბილიტაციის დროს 3000 ლარით გვეხმარება. დანადგარებს გვჩუქნის – როლები, საშრობები და სხვა. ყოველ წელს წინ ვდგამთ ნაბიჯს, დიდი გამოცდილება მივიღეთ. მოვალეობებს ვინაწილებთ, მაგალითად, თუ საქმეს დასჭირდა, ჯონი თბილისში ფეხით ჩავა. დათოს თენიეშვილის შვილმა, გაბომ კომპიუტერი და ინგლისური კარგად იცის, ამ მხრივ გვეხმარება. დათო და ჩემი ფუნქცია, საწარმოში საქმიანობაა.

– ერთ-ერთ შეფუთვას ქანთარია ანერია, ქართული ანბანითაა გაფორმებული, ქართველი მწარმოებელი?

– მელიტონ ქანთარიას შვილთაშვილია, რაიხსტაგზე ვინც დროშა აღმართა. ჩემს პროექციას აფასოებს და მოსკოვში ყიდის. იქ დაიბადა და გაიზარდა.


– ნაღდ გურულებზე მკითხველებს ექსკლუზიურად ჟურნალი გურიაRegion მოუყვება. რატომ დაარქვით ნაღდი გურულები?

– ნაღდი გემო აქვს, ამიტომ დავარქვით. გავერთიანდით ჩაის მწარმოებლები – ნაჭყებიები, დავით თენიეშვილი და მალხაზ ლიპარტელიანი. ერთჯერად შეფუთვაში სამივეს პროდუქტია მოთავებული. სასტუმროს მფლობელებს სურთ ქართველ მენარმეებს დაეხმარონ. ორბი ჯგუფი გამოგვცხმაურა, ჩვენი პროდუქცია შეაქვთ. ჩვენი მიზანია, ყველამ გაიგოს ნაღდი გურული ჩაის გემო.

ნაღდ გურულებს ბევრი მომხმარებელი ეყოლება არა მარტო ტურისტები და სტუმრები, არამედ საქართველოში მცხოვრებლებიც... ბატონ კახას წარმატებები ვუსურვე და დავემშვიდობე, დავპირდი, ჟურნალის მკითხველებს ბევრ მენარმეს და ქართულ პროდუქციას გავაცნობ.

ლელა სურმაჯა

ცნობილი ვოიაჯერი და მარადიული ჩაკრულო



როსტომ საგინაშვილი

პროგრამა ვოიაჯერი (Voyager program) – ამერიკული სამეცნიერო პროგრამა, რომლის საფუძველზე, 1977 წელს ნასამ კოსმოსში, მზის სისტემის მიღმა მდებარე სივრცის შესწავლის მიზნით, ორი იდენტური ავტონომური კოსმოსური ზონდი ვოიაჯერ 1 და ვოიაჯერ 2 გაუშვა.

2021 წლის 25 აგვისტოს ვოიაჯერ 1, ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მოწყობილობა, მზის სისტემას გასცდა. რობოტები აღჭურვილი იყვნენ მრავალი სამეცნიერო ინსტრუმენტით, ფოტო და რადიო დანადგარებით, ინფრარითელი და ულტრაიისფერი სპექტომეტრებით, სხვა მრავალი მოწყობილობით.

ვოიაჯერის ორივე ზონდზე მიმაგრებულია ოქროს ფირ-

ფიტა. ჩანერილია დედამიწის სურათები, ბუნების ხმები, ორმოცდათხუთმეტ ენაზე მისალმება, სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური კოლექცია, დედამიწის კულტურათა ხალხური სიმღერები, მათ შორის ქართული ხალხური სიმღერა ჩაკრულო. ფირფიტის მეორე მხარეს ამოტვიფრულია კოსმოსური რუკა, დედამიწის მდებარეობის ზუსტი კოორდინატები.

ვოიაჯერი უსასრულოდ იფრენს კოსმოსის უკიდვრად სივრცეში და ჩაკრულოს ჰანგებს გადასაცემს.

ჩაკრულო ქართული მრავალხმიანი აზროვნების მწვერვალია. არსად ისე ძალუმად არ ხმინაობს ქართველთა ერთიანობის იდეა, როგორც ჩაკრულოს ფინალში:

მაცალე ერთი ავლესო,


ხმალ-ჩახმახ ცეცხლის კვესია,

სულ წმინდად მოგამკევიწო

რაც ჩვენთვის დაგითესია.

ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ჩაკრულო ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. ამერიკულ კოსმოსურ ხომალდ ვოიაჯერის მეშვეობით შორეულ გალაქტიკაში ისმის, რადგან უცხო ცივილიზაციებმა კაცობრიობის საუკეთესო მიღწევები უნდა გაიზიაროს. ეს გახლავთ ანსამბლ ერისიონის ჩანანერი. პირველი ხმა ილია ზაქაძე, მეორე ხმა როსტომ საგინაშვილი.

ცნობილი ვოიაჯერის მოგზაურობის კვალდაკვალ, ჩაკრულო მარადისობის კუთვნილებად იქცა.



ოქროს ფირფიტა




ოქროს ფირფიტა

2025 წლის 11 მაისს თბილისში, პროფკავშირების კულტურის ცენტრში საქართველოს დამსახურებული არტისტის, ამიერკავკასიის ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფის, ოზურგეთის საპატიო მოქალაქის, ქარიზმატული და სახასიათო მოცეკვავის, გიგლა ნაჭყებია 70 წლის საიუბილეო კონცერტი გაიმართა. სცენაზე ახალგაზრდები გამოჩნდნენ, – მოხევური, აფხაზური, მთიულური, ალვანური, ხევსურული, აჭარული, ხორუმი, დასასრულს, ქართული ცეკვის გვირგვინი, ცეკვა ქართულის საუკეთესო შესრულებამ, დარბაზი აღაფრთოვანა, მეუბარე ტაში არ ცხრებოდა. იუბილარი იმ დღეს ბედნიერი იყო. ბატონი გიგლა არასდროს ამბობს ნაგომარს, ის ნაგომრიელია. ნამდვილ გურულს, საუკეთესო ადამიანს, კარგ მეუღლეს, მამას, მეგობარს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

გიგლა ნაჭყებია 70 წლის იუბილე

გიგლა ნაჭყებია



ფოტო: ლელა სურმავა

ჩოხატაურის სამუსიკო სკოლა 65

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლეში ფილიმონ ქორიძის სახელობის სამუსიკო სკოლის 65 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე შესრულდა ქართველ და ევროპელ კომპოზიტორთა სოლო, დუეტები და საგუნდო ნაწარმოებები, კლასიკურ ფოლკლორული და საესტრადო ჟანრში. კონცერტს აკომპანიმენტს უწევდა ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, მთავარი დირიჟორი – რევაზ ჯავახიშვილი.

საიუბილეო კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულები. საღამოს ესწრებოდნენ გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ლურჯუშელიძე, მისი მოადგილეები, ჩოხატაურის მერი დავით შარაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა მოადგილეებთან და სხვა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

საანგარიშო კონცერტი გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ორგანიზებით.

დღიას, ჩოხატაურში 65 წლის წინ დაიწყო სამუსიკო სკოლამ ფუნქციონირება. სკოლის პირველი პედაგოგები იყვნენ: ზურაბ კარაპეტიაძე, მურმან ბერულავა, ნონა თავართქილაძე, ნანა ჩხიკვაძე, ვერა ჩხიკვაძე და სხვ.

სამუსიკო სკოლის პირველი კურსდამთავრებულნი გახლდათ: მანონი ჩხიკვაძე, კორნელი კუკულავა, ნინელი გიორგაძე, გოგი მახარაძე, ამირან გიორგაძე, ლუიზა მეგრელაძე და არსენ ცინცაძე.

სამუსიკო სკოლა დაარსების დღიდან დღემდე დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. სწორედ მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგია, სხვადასხვა თემატური კონცერტები, კლასიკური მუსიკის საღამოები, 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, ბავშვთა დაცვის დღისადმი, წმინდა გიორგის და წმინდა ბარბარეს დღესასწაულისადმი, საახალწლო კარნავალი, საანგარიშო და სხვა მუნიციპალური ღონისძიებები.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება (ფლეიტის კლასი). მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას იღებენ სხვადასხვა ჟანრში: კლასიკურ, ფოლკლორულ და საესტრადო ჯგუფებში.

2014 წლიდან ყოველწლიურად სამუსიკო სკოლა საანგარიშო კონცერტს წარმატებით ატარებს ჩოხატაურის ხე-



ლოვნების სასახლეში ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

2014 წლიდან სამუსიკო სკოლა აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ხელოვნათა კავშირის კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალზე მომავლის ვარსკვლავები სადაც მოსწავლეები სისტემატურად ჯილდოვდებიან აქტიური მონაწილეობისთვის, ასევე მიღებული აქვთ გრან-პრი.

2016 წლიდან სამუსიკო სკოლა მონაწილეობს საქართველოს საგუნდო საზოგადოების, ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში. სხვადასხვა წლებში ვაჟთა და გოგონათა გუნდებმა მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილის დიპლომები, დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლით.

2018 წელს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მე-7 რეგიონულ კონკურსზე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომები საფორტეპიანო და საგუნდო ნომრებისთვის.

2022 წლიდან სამუსიკო სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობს სენაკი არტ ფესტივალზე რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის პატრონაჟით და თბილისის ხელოვნების აკადემიის რექტორის, გამორჩენილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით ტარდება. ჩოხატაურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები გახდნენ შიუკაშვილის სტიპენდიანტები, ასევე გადაეცათ ლაურეატის საპატიო დიპლომები და მონაწილეობა მიიღეს ფესტივალის გალა-კონცერტზე.

2024 წელს ფლეიტისტა მე-8 ფესტივალის საქართველოში ჩოხატაური – 2024 გაიმართა. სადაც სამუსიკო სკოლის სამი მოსწავლე დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომებით, პრიზებით და საჩუქრებით.

2024 წელს ასევე ჩოხატაურის სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა გურიის რეგიონალური სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მოსმენა-დათვალიერებას, რომელიც განხორციელდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებითა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ორგანიზებით.

სამუსიკო სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 6 წელია. სადაც მოსწავლე-

ბი იღებენ დაწყებით კომპლექსურ სამუსიკო განათლებას, ეზიარებიან ქართულ და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს. სკოლა ზრუნავს, მოზარდებს გამოუმუშაოს პირველადი პრაქტიკული სამემსრულებლო უნარ – ჩვევები, აღზარდოს გემოვნებიანი მსმენელი და განუვითაროს პიროვნულ – ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფასდაუდებელია ქალბატონ ქეთევან გიორგაძის შრომა, როგორც პედაგოგის, შემოქმედისა და ხელმძღვანელისა. მისი ღვაწლი ჭეშმარიტად იმსახურებს მექუხარე აპლოდისმენტებს. ასევე უნდა აღინიშნოს სამუსიკო სკოლის მენეჯერის ნინო დოლიძის უპირობო სიყვარული მოსწავლეები-

სადმი და კოლეგებისადმი. ამ ადამიანების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგია ის წარმატებები, რომელსაც სამუსიკო სკოლა დღემდე ინარჩუნებს თავიანთ საამაყო გუნდთან ერთად.

ჩვენი ჟურნალი ულოცავს სამუსიკო სკოლას საიუბილეო თარიღს და მრავალ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს.

ქეთევან კუკულავა



პოლივულის ინტელექტუალური მსახიობი

ოქროს გლობუსით დააჯილდოვეს და ოსკარზე წარადგინეს.

1997 წელს სტოუნმა მთავარი როლი შეასრულა სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში *სფერო*, ფილმმა კინოკრიტიკოსებისა და მაყურებლების მორიგი აღიარება მოუტანა. ამავე წელს სტოუნმა გაიცნო გაზეთ *ჩიკაგო ეგ ზაიმერის* რედაქტორი ფილ ბრონშტეინი და ცოლად გააჰყვა. 2003 წელს ბიჭი იშვილეს, ერთი წლის

ლაზე ინტელექტუალურ მსახიობად მიიჩნევა. მისი ინტელექტის კოეფიციენტი 154-ს აღემატება და ალბერტ აინშტაინის მაჩვენებელს უტოლდება. რამდენიმე ჟურნალის გამოკითხვით, სტოუნი მსოფლიოს ულამაზე ქალბატონია.

1999 წლიდან სტოუნი ინტელექტუალური ხასიათის ფილმებში მონაწილეობს. *გლორიაში* განსახიერებულმა ფილმმა *ოქროს გლობუსი* მოუტანა. ფილმისთვის *ძლევა მოსილი* კიდევ ერთხელ წარადგინეს *ოქროს გლობუსზე*. 2000 წლიდან შესრულების მანერა შეცვალა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, 48 წლის სტოუნი (2006წ.) ისევ განასახიერებს სექს-დივას.

სტოუნი თავისუფალ დროს უთმობს შვილების აღზრდას, საქველმოქმედო საღამოებს და მხატვრული ლიტერატურის კითხვას. მსახიობი სათავეში უდგას შიდსთან ბრძოლის ორგანიზაციას, აივ-ინფიცირებულთა დასახმარებლად, თანხების მოზიდვის მიზნით, აწყობს საქველმოქმედო საღამოებს.



შერონ სტოუნი

შერონ სტოუნი მსოფლიო ვარსკვლავი 1992 წელს პოლ ვერჰოვენის ეროტიკულ თრილერში *ძირითადი ინსტინქტი* განსახიერებული მთავარი როლით გახდა. მსახიობობამდე ის მანეკენი იყო, როდესაც პარიზში იხილეს, *პიერ კარდენის* წამყვან მოდელად იქცა. კარდენმა მას თეთრი ვარდი უწოდა. 80-იან წლების დასაწყისში სტოუნის ფოტოები ცნობილი ჟურნალების *ვოგის*, *პლეიბოის*, *ელის* გარეკანს ამშვენებდა.

შერონ სტოუნის კინოკარიერა 1980 წელს დაიწყო, როცა *ვუდი ალენის* ფილმში *ვარსკვლავური მტერის მოგონებები* ითამაშა. შემდეგ მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა ფილმებში *პოლიციის აკადემია 4*, *ჯექსონის ქმედება*, *სრული დაბნელება*.

ძირითადი ინსტინქტით მისი თავბრუდამხვევი კინოკარიერა დაიწყო. პირველად წარადგინეს ოსკარზე, შემდეგ ეროტიკულ თრილერებში იღებდნენ. 90-იან წლებში ერთ-ერთი ძვირადღირებული და წარმატებული მსახიობი იყო.

სუპერვარსკვლავად ქცეული სტოუნი ისეთი გრანდების გვერდით ჩნდება, როგორებიცაა *რიჩარდ გირი*, *სილვესტერ სტალონე*, *უილიამ ბოლდეუინი*, *რობერტ დე ნირო*, *კეთი ბეიტსი*, *დასტინ ჰოფმანი*. მარტინ სკორსეზეს ფილმში *კაზინო საუკეთესოდ* შესრულებული როლისთვის



შერონ სტოუნი შვილებთან ერთად



შერონ სტოუნი და პატრიკი სუაიზი

შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.

დემი მურიისა და *ჯულია რობერტსის* მსგავსად, სტოუნი პოლივუდში მაღალანაზღაურებადი მსახიობია. *ძირითადი ინსტინქტის* გაგრძელებაში (2006წ.) შესრულებული როლით კოლოსალური თანხა 30 მილიონი დოლარი აიღო და მსოფლიოში ქალისთვის გადახდილი მაღალი ჰონორარიტ ყველა რეკორდი მოხსნა, 10 მილიონი დოლარით გაუსწრო რობერტსა და მურს.

შერონ სტოუნი პოლივუდში ყვე-

წარმატებული სპექტაკლები



ნანა წივწივაძე



2023 წელს სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებას საჯარო სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა თეატრალური დასი, რომლის ხელმძღვანელია, პედაგოგი ნანა წივწივაძე. დასის სახელწოდება – ამაღლება, გაერთიანებულია თხუთმეტი სცენისმოყვარე მოსწავლე.

ქალბატონი ნანა წივწივაძე წლების მანძილზე საინტერესო შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, მისი ორგანიზებით არა ერთი ღონისძიება ჩატარდა.

2023 წელს თეატრალურმა დასმა დადგა სპექტაკლი *მე ვხედავ მზეს* (ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით). 2024 წელს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ჩატარდა სასკოლო თეატრალური ოლიმპიადი, თეატრალურმა დასმა ამაღლება სწორედ ამ სპექტაკლით გაიმარჯვა ნომინაციაში *საუკეთესო სამსახიობო დასი*. ბეჟანას როლის კარგი შესრულებისთვის, ჯონი აბუსერიძეს გადაეცა პრიზი *ჟიურის სიმართლა*.

2025 წელს თეატრალური დასი ისევ მონაწილეობს სენაკის ოლიმპიადებზე, სპექტაკლით *კრწანისის სევდა* (ლევან გოთუას და ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობის მიხედვით). სპექტაკლის რეჟისორი და სცენარის ავტორი ნანა წივწივაძე. მხატვარი ემიკო დოლიძე. მუსიკალური გაფორმება ნათია ხვინჩიაშვილი, კოსტიუმების დიზაინი ნინო ჩინჩალაძე, კონსულტანტი, სპეციალური მონვე-



ვით ჩოხატაურის სახალხო თეატრის მსახიობი გია ხვინჩიაშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობენ:

არაგველი – გოგა ამაღლობელი

მეფე – ანდრია ჩიჩუა

სანდრიკა – რამაზ ცერცვაძე

ენძელა – თეკლა წეროძე

ინგილო ქალი – ბარბარე წეროძე

დედა – ირინე გუფერიძე

სპარსი – სანდრო დოლიძე

სენაკის ოლიმპიადის თემატიკაა – ქართველი მეფეები. სპექტაკლმა აღიარება მოიპოვა. დასს ამაღლება გადაეცა დიპლომი *საუკეთესო სინთეზური სპექტაკლი*. არაგველის როლის შემსრულებელმა, გოგა ამაღლობელმა ერთ-ერთი სპონსორის სიმპათიით დაიმსახურა, ფულადი ჯილდო მიიღო.

კრწანისის სევდა, ჩოხატაურელი მაყურებლების მოთხოვნით, მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრის სცენაზეც გაიმართა. სპექტაკლი მქუხარე ტაშით და ოვაციით დასრულდა.

სკოლის დირექტორმა, ლალი ყაჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა დასის ხელმძღვანელს. ნანა წივწივაძეს, მოსწავლეებს, გია ხვინჩიაშვილს. მხარდაჭერისთვის ჩოხატაურის კულტურის ცენტრს, მოსწავლეთა თეატრალური ოლიმპიადის დამფუძნებელს, რეჟისორ ვახტანგ ნიკოლოვას.

ჩვენი ჟურნალი ულოცავს თეატრალურ დასს ამაღლება. სცენისმოყვარე მოსწავლეებს ბევრ საინტერესო სპექტაკლს უსურვებს.

ქეთევან კუკულავა



თინათინ კალანდაძე

Tinano უკვე ბრენდია

ფუნქციურობა. მაგალითად, ჩანთები, ყოველთვის ჩვენთან ცხოვრობს. ასე დაიბადა Tinano უკვე ბრენდია, რომლის ქვეშ ტყავის ჩანთებსა და აქსესუარებს ქმნის, იმ ადამიანებისთვის არის საინტერესო, რომლებიც მაღალ ხარისხს, სიმარტივეს და ბუნებრიობას აფასებს.

– როგორ იქმნება პროდუქცია?

– ჩემთვის მთავარია, ყველა ნივთი გამოსაყენებელი და სახასიათო იყოს. მხოლოდ ბუნებრივი ტყავით ვმუშაობ, ყველა ეტაპს – ჭრა, კერვა – ხელით ვასრულებ!..

– ვინ არის Tinano მომხმარებელი?

– განსხვავებული მომხმარებლები მყავს. თუმცა ყველას აერთიანებს, თავისი სტილით და თავდაჯერებულობით, ისინი ზედმეტს არ ეძებენ. ჩემი ჩანთები იყიდება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. როცა მომხმარებელი ჩემს ნაკეთობას სხვა კონტინენტზე ატარებს, მეტ სტიმულს მმატებს.

– როგორ ხედავთ ბრენდის მომავალს?

– მსურს Tinano თავისი სივრცე ჰქონდეს, ერთდროულად სახელოსნო და მაღაზია, სადაც მომხმარებლები დააკვირდებიან შემოქმედებით პროცესს, იდეებს გაცვლით. ჩემი მიზანია, Tinano საერთაშორისო ბაზარზე უფრო აქტიურად გამოჩნდეს, მთავარია, ქართული ხელსაქმის სითბო და სახასიათო მიმართულება არ დაიკარგოს.

– საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობა თქვენთვის წარმატებული იყო...

– დიახ, საერთაშორისო მოდის კონკურსში მივიღე მონაწილეობა, რომელიც მერსედეს ბენცის დამფუძნებელმა და შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა, ასევე BE NEXT პროექტის ავტორმა და კონკურსის ორგანიზატორმა სოფო ჭყონიამ დააფუძნა. შნორედ ამ კონკურსზე გადმომცა პრიზი, ჩემი კოლექციის ერთკვირიანი შოურუმი პარიზში. ამავე პერიოდში თბილისის მოდის სახლმა MATENEL სრული კოლექციის შექმნა დააფინანსა, შემდეგ მათ მაღაზიაში გაიყიდა.

– თინათინ, მადლობას გიხდის საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.

– დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

ესაუბრა

ქეთევან კუკულავა

– თინათინ, დამეთანხმები, სკოლის დასრულების შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელება, დედის პროფესიამ განაპირობა. ქალბატონი მზია კვინტრაძე გახლავთ სამხატვრო სკოლის მენეჯერი, პედაგოგი და მრავალი თაობის აღმზრდელი.

– დიახ, დედის პროფესიამ მოახდინა გავლენა. მხატვრობასთან სიახლოვე ბუნებრივად წარიმართა. დედამ მასწავლა, როგორ დაეინახო დეტალები, შევიგრძნო ფერები და ფორმები... მას ხშირად დავყავდი სამხატვრო სკოლაში. მთელ დღეს იქ ვატარებდი. ბავშვების ნახატებს ვათვალიერებდი, მერე ჩემებურად ვხატავდი. სამხატვრო სკოლის მოსწავლე კარგად ვმეცადინეობდი. მსურს, მადლობა გადავუხადო სამხატვრო სკოლის ყველა პედაგოგს. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, მოდის დიზაინერის მიმართულებით. ბევრს ვმუშაობდი, სტუდენტურ გამოფენებში ვიღებდი მონაწილეობას.

– როგორ დაიწყო Tinano შექმნის ისტორია?

– თავიდანვე მსურდა, ხელნაკეთი ნივთები შემექმნა. მომწონდა ბუნებრივი მასალები, სიმარტივე და ნივთების



☺ ☺ ☺

– რატომ მონამლეთ ბრალდებუ-
ლო მე – რატომ მონამლეთ ბრალდე-
ბულო მესამედ თქვენი სიდედრი?
– სკლეროზი აქვს, ჩემთვის ამზა-
დებს და თავად მიირთმევს.

☺ ☺ ☺

წყალქვეშა ნაგში სია ამოიკითხეს:

– გიორგაძე!..
– სა წვეიდოდი...

☺ ☺ ☺

სასამართლოში გურული მონმედ
დაიბარეს.

მოსამართლე ეკითხება:

– ალბათ იცით, რა გელოდებათ,
თუ ცრუ ჩვენებას მიცემთ.
– კი, ტოიოტა პრადოს დამპირდნენ.

☺ ☺ ☺

გურული ქალი მთვრალ ქმარს
აძინებს:

– ის თეთრი რაია, რო დაფრინავს?
(ელანდება)
– ბუზია, დეიძინე.
– მერე თეთრია?
– ღამის პერანგი აცვია.

☺ ☺ ☺

გურულმა პირველად დაინახა
ბლანჟიანი კაცი.

ეკითხება:

– აი პირი რეიზა გაქვს შემოხაზუ-
ლი, საჭმელს არ დააცილო?!

☺ ☺ ☺

გურულმა წყალკანალში დარეკა
და ოპერატორს უთხრა:

– წუხელ გლახა სიზმარი ვნახე,
წყალს გამოუშობ, თუ შენ მოგიყვე?

☺ ☺ ☺

მიხო ჟურნალში კითხულობს;

– ლამაზი ქალის ქმრობა ჭკვიანი
კაცისთვის დიდი ტვირთია.

მიხო დაფიქრდა და თქვა:

– ლამაზი ცოლის რა მოგახსენოთ,
ჭკვიანი კი ვარ, ისეთი ცოლი მო-
ვიყვანე. ტყეშიც რომ დავაბა, ბანარს
მამპარავენ.

☺ ☺ ☺

10 ლარიანი, 20 ლარიანი, 50 ლა-
რიანი, 100 ლარიანი და 200 ლარიანი
შარაფობენ.

მაგარი სმა მიდის. 2 ლარიანი მე-
რიქიფეა, 50 თეთრიანი ოფიციატრი,
10 თეთრიანი დამლაგებელი. უცებ
ერთ თეთრიანი მთვრალი ყანნით
კარს შემოატრევს:

– მოდი, ამ ჭიქით ისეთ კაცს გაუ-
მარჯოს, ვინც არ ხურდავდებო.

☺ ☺ ☺

ძალიან მიყვარს რაჭველები.

როცა რაჭველებზე ვწერ ანეკ-
დოტს, არ ბრაზდებიან, ორი-სამი დღე
მაინც!..

☺ ☺ ☺

გურულ მეგობარს მამა გარდაეც-
ვალა. ბათუმიდან თბილისში ჩავედი,
სახე დაიყენა, მიუსამძიმრე, სინანუ-
ლით ჰკითხა:

– რა დაემართა?
– ძამა, მოკტა!..

☺ ☺ ☺

ქალი ოფიციატრს ეკითხება;

– სად წავიდა ქათამი ბულიონში,
დაიხრჩო?
– არა ქალბატონო, იბანავა და გა-
გვეპარა...

☺ ☺ ☺

გურულმა ბავშვმა არ იცის გაკვე-
თილი. მასწავლებელი ეკითხება:

– რა მოხდა, რატომ ვერ ისწავლე?
– მასწავლებელო, დედა-მამა ხუ-
ბობდნენ და ვერ ვისწავლე...
– დედას ვიცნობ, კარგი ქალია,
მამა ვინ არის?
– ამიტომ ჩხუბობდნენ.

☺ ☺ ☺

გურიში თბილისელი სტუმარი ჩა-
ვიდა.

ნაბახუსევს მდინარეზე წავიდნენ
გასაგრილებლად.

გურული ეუბნება:

– ჩამოი წყალში.
– არა, ტრუსიკი მაქ წინ გარღვე-
ული.
– ეიფარე წინ ხელი და ჩამოი.
– არა, უკანაც გარღვეული მაქ.
– აბა, ძამა, რეზინას აკვლევიან
თავს?

☺ ☺ ☺

სომეხს დაესიზმრა, რესტორანში
ძმაცაცებთან ერთად ქეიფობს.

შეშინებულმა სასწრაფოდ გაიღვი-
ძა, არ გადამახდევინონო.

☺ ☺ ☺

მიხო სახლში მთვრალი მივიდა.

მარო კარს არ უღებს.

– გააღე კარი, ყვავილები მამაქ
ლამაზი ქალისთვის.

მარომ სიხარულით გაუღო კარი.

მიხო ხელცარიელი დგას.

– სად არი ყვავილები?
– ვა, ლამაზი ქალი სადაა?

☺ ☺ ☺

გურული დაიწყევლა:

– აი მიწა კი არ უნდა ჩადო ბანკში,
ბანკი უნდა ჩადო მიწაში.

☺ ☺ ☺

გურულმა სახლში დაიგვიანა.

ცოლი ეკითხება:

– სა იყავი მთელი ღამე?
– სამსახურში.
– არ მჯერა.
– კინოში.
– ტყულია მაი.
– მორიგე ვიყავი.
– არ მჯერა.
– აბა, მაცალე პანა ძილი, დილამ-
დე რაცხას მეფიფიქრებ.

☺ ☺ ☺

სომეხს ეკითხებიან:

– რომელი ფირმის სიგარეტს
ენწევი?
– გააჩნია გამვლელს.

☺ ☺ ☺

ცოლმა აბრამა მაღაზიაში პიტნის
კანფეტის საყიდლად გაგზავნა.

აბრამას ენა ებმოდა.

მაღაზიაში დაიწყო, პი პი პი კა-
ხელმა უთხრა, – აბრამ, აქ ვერ მა-
აბრუნებ ჯო, ზადნით უნდა გახვიდე!

☺ ☺ ☺

დედა შვილს ეკითხება:

– სა მიხვალ?
– არ პასუხობს.
– სა მიხვალ, არ გადამრიო.
– იქინე.
– მერე, ვერ იტყვი!..

☺ ☺ ☺

გურულს ეკითხებიან:

– ცურვა თუ იცი?
– საა ძამა, წყალში!..

☺ ☺ ☺

სვანეთში მასწავლებელი ბავშვებს
ეუბნება:

– თუ კარგად ისწავლით, სამოთხე-
ში მოხვდებით, თუ ცუდად ისწავლით,
ჯოჯოხეთში.

ერთ-ერთმა მოსწავლემ ჰკითხა:

– მასწავლებელო, არ შეიძლება
სკოლა ცოცხლებმა დავამთავროთ?

☺ ☺ ☺

მიხო, რაღაც არ მომწონხარ, ექიმ-
თან უნდა წაგიყვანო.

– მარო, ექიმს მოვეწონები?

ჩაის სახლი გურულები

იზრუნეთ თქვენს ჯანდაცვაზე, სეოპსი



მობილური ტელეფონები:

551 006 091

599 464 572

551 521 224

e-mail: naghdigurulebi@gmail.com

HOMEOPATHIC AND GEORGIAN TRADITIONAL MEDICINE CLINIC FAMILY DOCTOR

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა ოჯახის მკურნალი



თორნიკე ალაშვილი – კლინიკის დირექტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, ჰომეოპათიის და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგის პრეზიდენტი. კლინიკაში კომპლექსურად მკურნალობენ ხერხემლის პრობლემებს, ღვიძლს, ბრონქულ ასთმას, ფსორიაზს, აუტიზმს. ფარისებრ ჯირკვალს და სხვა დაავადებებს.

კლინიკის მისამართია:

ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 28, ალექსანდრე ჭავჭავაძის 2ა.

ტელეფონები: (+995) 2 98 64 86, 599 559 961

www.Curamediana.Ge

ISBN 2346-7606



9 772346 760009